*დამტკიცებულია*

*რექტორის ბრძანება № 01-55 05.07.2024*

*რექტორი_____________________ვ. ხვედელიძე*

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება

## ნდ №2-030101-12

# შინაარსი

პრეამბულა, გავრცელების სფერო, ნორმატიული საფუძვლები, ძირითადი განმარტებები და შემოკლებები....4
**თავი I. ზოგადი დებულებები ....5**
მუხლი 1. დებულების სამართლებრივი საფუძვლები. რეგულირების სფერო....5
**თავი II. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარება, გაუქმება....5**
მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძვლები ....5
მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა....5
მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ....6
მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება და განხორიელების უფლების მოპოვება....11
მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, ცვლილებების განხორციელება....11
მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება ....12
მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პირთა ინფორმირებისა და პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები ....13
მუხლი 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა....13
მუხლი 10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ....14
მუხლი 11.  სწავლების ენა....14
**თავი III. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა ....15**
მუხლი 12. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება ....15
მუხლი 13. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება....15
მუხლი 14. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება....15
მუხლი 15. აპლიკანტთა შერჩევის პროცესის ორგანიზება....16
მუხლი 16. შესარჩევი კომისია....17
მუხლი 17. შეფასების პროცესისათვის გარემოს მოწყობა....17
მუხლი 18. გასაუბრების/ტესტირების წარმართვა ....18
მუხლი 19. დამკვირვებლის ვალდებულებები ....18
მუხლი 20. აპლიკანტის უფლებამოსილება....18
მუხლი 21. ტესტირების ჩატარება ....19
მუხლი 22. გასაუბრებაში მონაწილეობის უფლება....19
მუხლი 23. განმეორებით  შეფასებაზე დაშვება - აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში (განმეორებით) შეფასების უზრუნველყოფის წესი და პირობები....19
მუხლი 24. ტესტირებისა და გასაუბრების შედეგების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირება ....19
მუხლი 25. ტესტირებისა და გასაუბრების შედეგების აპელაციის წესი და ვადები....19
მუხლი 26. დაწესებულებაში ჩარიცხვა ....20
მუხლი 27. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაცია....20
მუხლი 28. პროფესიულ სტუდენტებთან ხელშეკრულების გაფორმება ....21
მუხლი 29. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება ....21
მუხლი  31. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვა....21
მუხლი  32. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფის ნომრის განსაზღვრა....22
**თავი IV. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის დაგეგმვა ....22**
მუხლი  33. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპები....22
მუხლი  34. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცედურები ....22
**თავი V. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის განხორციელება ....26**
მუხლი  35. სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებები....26
მუხლი  36. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური მეცადინეობების ორგანიზება და კონსულტაციები ....27
მუხლი  37. სასწავლო პროცესში  შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები ....27
მუხლი  38. პროგრამის კომპონენტის გავლა ინდივიდუალურ რეჟიმში ....28
**თავი VI. პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვა ....29**
მუხლი 39. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ....29
მუხლი 40. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა....29
მუხლი 41. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა....29
მუხლი 42. პროფესიულ სტუდენტთა გადასვლა სხვა სასწავლებელში მობილობის წესით (გარე მობილობა) ....30
მუხლი 43. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით ....30
მუხლი 44. შიდა მობილობა ....31
მუხლი 45. მობილობის უფლების შეზღუდვა ....31
მუხლი 46. მობილობის მსურველი პირის ჩარიცხვაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები ....32
მუხლი 47. კვალიფიკაციის მინიჭება....32
მუხლი 48. პროფესიული დიპლომის გაცემის პირობები....32
მუხლი 49. სერტიფიკატები ....32
მუხლი 50. ცნობა/სერტიფიკატი გავლილი მოდულის/სწავლის შედეგების შესახებ....32
მუხლი 51. მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის დამზადების, აღრიცხვის, შენახვისა და გაცემის პროცედურა ....32
მუხლი 52. დიპლომებით/სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატებით მომარაგება....32
მუხლი 53. დიპლომების/სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატების შენახვა....33
მუხლი  54. გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომების/სერტიფიკატების ჩამოწერა ....33
მუხლი 55. დიპლომების/სერტიფიკატების ფორმების შევსება....33

მუხლი 56. დიპლომების/სერტიფიკატების გაცემა ....33
მუხლი 57. დიპლომების/სერტიფიკატების დუბლიკატების გაცემა ....33
**თავი VII. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარება....33**
მუხლი 58. მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ....33
მუხლი 59. მსგავს ან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ....34
მუხლი 60. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების ზოგადი დებულებები ....34
მუხლი 61. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების საფუძვლები ....34
მუხლი 62. ფორმალური განათლების აღიარების ეტაპები და ვადა ....34
მუხლი 63. განცხადების წარდგენა....34
მუხლი 64. კომისიის მიერ განცხადებისა და დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება ....35
მუხლი 65. გადაწყვეტილების მიღება ....35
მუხლი 66. უცხოეთში და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარება ....36
მუხლი 67. პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემა ....36
მუხლი 68. სწავლის შედეგის დადასტურება და კრედიტის მინიჭება....36
მუხლი 69. კრედიტების გადატანა (ტრანსფერი)....36
**თავი VIII. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ....36**
მუხლი 70. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები....36
მუხლი 71. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და დამტკიცება ....36
**თავი IX. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია....37**
მუხლი 72. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა....37
მუხლი 73. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორები....37
მუხლი 74. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშება....38
მუხლი 75. კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პირთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის წესი ....38
მუხლი 76. დებულების დანართები....39
მუხლი 77. დებულების საჯაროობა/კონფიდენციალურობა ....39
მუხლი 78. დასკვნითი დებულებები ....39
ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი....40

## პრეამბულა

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული დებულების დამტკიცების აქტით;
2. დებულებას და მასში შესატან ცვლილებებს შეიმუშავებს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ბნსუ-ს იურისტი, პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭო და სხვა პირები (საჭიროებისამებრ). სამუშაო ჯგუფის მუშაობას კოორდინირებას და საბოლოო პროექტის მომზადებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. დებულებაში ცვლილებები მუშავდება დებულების გამოყენების შედეგების, საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს დებულება;
4. დებულებაში ცვლილებების შეტანას აკონტროლებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
5. დებულება ინახება:
   - ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან (ორიგინალი);
   - ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ელ. ვერსია);
   - პროფესიული განათლების დეპარტამენტში (ელ. ვერსია).

## გავრცელების სფერო

1. წინამდებარე დებულება ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მარეგულირებელი (შიდა ნორმატიული) დოკუმენტია;
2. დებულება ვრცელდება ყველა საკითხზე, რომელიც წარმოადგენს ამ დებულების რეგულირების სფეროს, და  ყველა დოკუმენტზე, რომლის მიღების საფუძველს წარმოადგენს წინამდებარე დებულებაში არსებული წესები.

## ნორმატიული საფუძვლები

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს შრომის კოდექსი;
3. საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ;
4. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ;
5. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
6. პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და სტანდარტები;
7. საქართველოს კანონი მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ;
8. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
9. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
10. ნდ №2-010101 – ბნსუ-ს წესდება;
11. ნდ №2-010102 – ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება (შინაგანაწესი);
12. ნდ №2-020101-01 – დოკუმენტების მართვის პროცედურა.

## ძირითადი განმარტებები და შემოკლებები

შიდა ნორმატიული დოკუმენტი - ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრილებელი, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ადგენს საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება  სხვადასხვა  საქმიანობის  სახეებს და მათ შედეგებს;

თანამდებობრივი ინსტრუქცია - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს/აზუსტებს  ბნსუ-ში დასაქმებული პირის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მის მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;

სტრუქტურული ერთეულის დებულება - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც  განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სფეროს, ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის/პერსონალის ფუნქციურ დაქვემდებარებას, ძირითად უფლებებსა და ვალდებულებებს;

აღრიცხული ეგზემპლარი - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით;

საგანმანათლებლო პროგრამა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამა;

პროფესიული სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

მსმენელი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე;

ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი";

| | | |
|---|---|---|
| უსდ/სდ | - | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება; |
| ISO | - | სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; |
| ხს | - | ხარისხის სისტემა; |
| ECTS | - | კრედიტებისა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა; |
| ESG | - | European Standards and Guidelines; |
| ENQA | - | European Network for Quality Assurance; |
| სდ | - | საინფორმაციო დოკუმენტი; |
| სსა | - | საქართველოს საზღვაო ადმინისტრაცია; |
| სტს | - | საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო. |

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. დებულების სამართლებრივი საფუძვლები. რეგულირების სფერო

1.1. წინამდებარე „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება“ (შემდგომში - დებულება) შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონის, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბნსუ) წესდებისა და შინაგანაწესის საფუძველზე;

1.2. წინამდებარე დებულება არეგულირებს ბნსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროფესიული პროგრამა ან პროგრამა) შემუშავებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

1.3. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება ბნსუ-ს შინაგანაწესით და შიდა აქტებით. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ბნსუ-ს მარეგულირებელ დებულებებში/წესებში გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;

1.4. ბნსუ უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას, მათ შორის, ვებ-გვერდის მეშვეობით. პროფესიული სტუდენტები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პირები ვალდებულნი არიან გაეცნონ ამ ინფორმაციას და შეასრულონ წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები. ამ მოთხოვნების არცოდნა არ ათავისუფლებს მათ წინამდებარე დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

## თავი II. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარება, გაუქმება

### მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძვლები

2.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულების, შესაბამისი კრედიტების და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე და სრულდება პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებითა და მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით;

2.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე;

2.3. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრავს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების მოცულობას, მისაღწევ სწავლის შედეგებს, იმ მოდულების ერთობლიობას, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აგრეთვე შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების და პროგრამის განხორციელების წინაპირობებს, შესარჩევი სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის ალტერნატიულ ჩამონათვალს;

2.4. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევისას ბნსუ ითვალისწინებს მათ თავსებადობას ბნსუ-ს მისიასთან, ეროვნულ და რეგიონულ პრიორიტეტებს, შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნებს, ბნსუ-ს მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს;

2.5. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევის საფუძველი შეიძლება ასევე გახდეს საკანონმდებლო ცვლილებები, ახალი ტექნოლოგიების შემოღება, სხვა შიდა და გარე ფაქტორები;

2.6. ბნსუ-ს მიერ კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესი შედგება შემდეგი პროცედურებისაგან:
- ა) პროგრამის ინიცირება;
- ბ) სამუშაო ჯგუფის შექმნა;
- გ) პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობისა და ბნსუ-ს შესაძლებლობების შეფასება;
- დ) პროგრამის შემუშავება;
- ე) ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე, ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის შეფასება;
- ვ) პროგრამის დამტკიცება;
- ზ) პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება;

2.7. ბნსუ-ს მიერ კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომი პროცესი შედგება შემდეგი პროცედურებისაგან:
- ა) პროგრამის განვითარება, ცვლილებების განხორციელება;
- ბ) დასაბუთების ან შესაბამისი გარემოების არსებობის შემთხვევაში, პროგრამის გაუქმება.

### მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა

3.1. პროგრამის განხორციელების თაობაზე ინიცირება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მათ შორის: ბნსუ-ს ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებს, პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, ბნსუ-ს პარტნიორებს და სხვა;

3.2. პროგრამის ინიცირებისას, ინიციატორმა უნდა წარმოადგინოს მყარი არგუმენტი, თუ რატომ მიიჩნევს მიზანშეწონილად შერჩეული პროგრამის განხორციელებას. ამ მუხლის მიზნებისათვის მყარი არგუმენტი მოიცავს, როგორც კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების თაობაზე კონკრეტულ წინადადებებს, ისე ინიცირებული პროგრამის განხორციელების რელევანტურობის დასაბუთებას იმ გეოგრაფიული არეალის ჭრილში, რომელსაც ბნსუ ემსახურება;

3.3. თუ ინიციატორი მხარე ვერ უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით კონკრეტული მტკიცებულებების მოპოვებას, ბნსუ დაინტერესების შემთხვევაში, საკუთარი რესურსით უზრუნველყოფს გარემოებების შესწავლასა და მტკიცებულების მოკვლევას;

3.4. ამ მუხლის მიზნებისათვის პროგრამების განხორციელების დასაბუთება შესაძლოა ეყრდნობოდეს შემდეგ გარემოებებს:
- ა) **კონცეპტუალური მიზანშეწონილობა** - ფასდება ხომ არ მოდის წინააღმდეგობაში პროგრამის განხორციელება ბნსუ-ს მისიასთან, მის პროფილთან და სტრატეგიულ მიზნებთან;
- ბ) **რესურსული მიზანშეწონილობა** - ფასდება პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური მოთხოვნები, საგანმანათლებლო რესურსები. განისაზღვრება თუ რა სახის შესაბამისობა გააჩნია უკვე და რა ნაწილში იქნება საჭირო დამატებითი ინვესტირება. მათ შორის გაითვალისწინება პერსონალის (პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა, კორპორაციული სწავლების მიზნებისათვის პარტნიორი დაწესებულება და მათი რაოდენობა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნებისათვის) მოზიდვა, პერსონალის არსებობა, მათი გადამზადების საჭიროება და სხვა;

გ) **ეკონომიკური მიზანშეწონილობა** - განისაზღვრება დაფინანსების შესაძლო წყაროები. საბიუჯეტო, კერძო თუ სხვა. ფასდება ოპერაციული ხარჯები და შემოსავლები, შეისწავლება პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობა (საპროგნოზო ბიუჯეტი). გარდა ფინანსური მდგრადობისა, გაანალიზდება პროგრამის განხორციელების ეკონომიკური მიზანშეწონილობა დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზზე დაყრდნობით, ფართო კონტექსტში. შეისწავლება კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლო არეალი. რამდენი ადამიანი დაასრულებს პროგრამას ბნსუ-ს ფუნქციონირების პერიოდში და შეფასდება მათი დასაქმების პოტენციალი ბნსუ-ს ფუნქციონირების არეალში; შეისწავლება ბნსუ-ს სამოქმედო არეალში კონკურენტი პროვაიდერების არსებობა, პროგრამის კონტექსტში. აისახება საკუთარი ძლიერი მხარეები კონკურენტებთან მიმართებით. გაანალიზდება თუ რატომ უნდა განახორციელოს ეს პროგრამა ბნსუ-მ და ხომ არ გამოიწვევს პროგრამის დამატებითი ფუნქციონირება კვალიფიციური ადამიანური რესურსის სიჭარბეს. გაანალიზდება სამუშაოზე დაფუძნებული (დუალური ან კოოპერაციული) სწავლებისათვის სამოქმედო არეალში შესაძლო პარტნიორი ორგანიზაციების არსებობა. მათ შორის მხედველობაში მიიღება გონივრული ვადები და მანძილი პროფესიულ სტუდენტთა ტრანსპორტირებაზე, მასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა.

დ) **სამართლებრივი მიზანშეწონილობა** - ფასდება პროგრამის განხორციელება ხომ არ საჭიროებს რაიმე დამატებით რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, როგორიცაა მარეგულირებლის თანხმობა გარკვეული საქმიანობის განხორციელებისას ან პროგრამის განხორციელების პროცესში საჭირო აღჭურვილობის, მასალა-ნედლეულის შეძენა, შენახვა და გამოყენება ხომ არ უკავშირდება რაიმე სახის სალიცენზიო ან სანებართვო პირობების დაკმაყოფილებას. ასევე, შეისწავლება პროგრამის თანაგანმახორციელებელი, საჭიროების შემთხვევაში ფლობს შესაბამის ნებართვებს ან ლიცენზიებს ან არის რეგისტრირებული კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) **ოპერაციული მიზანშეწონილობა** - ფასდება ბნსუ-ს ორგანიზაციული მოწყობა რამდენად იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. განსაკუთრებით ყურადღება უნდა გამახვილდეს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობასა და დატვირთვაზე, თუ რამდენადაა შესაძლებელი ახალი პროგრამის ამოქმედების პირობებში მისი განხორციელების სრულფასოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა, განსაკუთრებით კი ბნსუ-ს ტერიტორიულ ერთეულებში (ფილიალებში არსებობის შემთხვევაში). დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, პროფესიული სტუდენტთათვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა.

3.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნებისათვის ყველა ასპექტის რეალისტურად გააზრების საფუძველზე, ხორციელდება რისკებისა და სარგებლის საერთო შეჯამება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით;

3.6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას ცალკეული ასპექტების მიხედვით ბნსუ-ს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები ან პირები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იხილავენ ანალიზის დოკუმენტს, რომელსაც ასევე იხილავს ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭო;

3.7. ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი;

3.8. სამუშაო ჯგუფის საქმიანობას უძღვება პროგრამის პოტენციური ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ან ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული პირი. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ პროგრამის ინიციატორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პერსონალი, საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი/თანახელმძთვანელ(ებ)ი, პროფესიული განათლების მასწავლებლები/პრაქტიკის ინსტრუქტორი, პრაქტიკისა და დასაქმების სამსახურის პერსონალი, დამსაქმებლები, ბნსუ-ს პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენელი (პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები), ბიბლიოთეკის პერსონალი, საფინანსო სამსახურის პერსონალი, პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები (არსებობის შემთხვევაში), დარგის ექსპერტები და სხვა.;

3.9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის პირველ ეტაპზე, სამუშაო ჯგუფი განიხილავს ბნსუ-ში კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას, აანალიზებს ბნსუ-ს შესაძლებლობას პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ინფრასტრუქტურის მზაობას, პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხს, მსგავსი მიმართულების პროგრამების განხორციელების გამოცდილებას და სხვა;

3.10. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შესახებ სამუშაო ჯგუფის ანალიზი განიხილება ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს სხდომაზე;

3.11. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შესახებ ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილება მიიღება თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოში მოქმედ და საერთაშორისო (საზღვაო სფეროს პროგრამების შემთხვევაში) სტანდარტებს, ბნსუ-ს მისიას და საგანმანათლებლო პრიორიტეტებს, ითვალისწინებს დარგში არსებულ მოთხოვნებს, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას საქართველოს და საერთაშორისო განათლების და შრომის ბაზარზე, არსებობს შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსები, არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა და სხვ.

## მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება

4.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ან ჩარჩო დოკუმენტი;

4.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული მიდგომით. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის მიღწევას რეალურ ან/და იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა შესაძლებელია დუალური ან კოოპერაციული სწავლებით. პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში მიღწევა შესაძლებელია განხორციელდეს ბნსუ-ში. კოოპერაციული სწავლება გულისხმობს ბნსუ-სა და პრაქტიკის ობიექტის მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც შესაბამისი პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა ხდება რეალურ სამუშაო გარემოში, გარდა პროგრამის დუალურად განხორციელებისა. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განისაზღვრება კოოპერაციული სწავლების ფარგლებში პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა/დასაშვებობა რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამის კოოპერაციული მიდგომით განხორციელების მიდგომები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით;

4.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილებია:

ა) ძირითადი დოკუმენტი;

ბ) მოდულები;

გ) სასწავლო გეგმა;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსების/მასალა ნედლეულის ჩამონათვალი;

ე) ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ;

ვ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ბიუჯეტი (საპროგნოზო ბიუჯეტი);

ზ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

თ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია მოიცავდეს სხვა სახის დანართებს, საჭიროებისა და სპეციფიკის შესაბამისად.

4.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტი მოიცავს პროგრამის სახელწოდებას ქართულ და ინგლისურ ენაზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდებას ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; პროგრამის შექმნის საფუძველს; მისანიჭებელ კვალიფიკაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე; პროგრამის მიზანს; პროგრამაზე დაშვების წინაპირობას/წინაპირობებს; დასაქმების შესაძლებლობებს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და მოდულებს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობას; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობას; მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის სწავლის შედეგებს; სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და კრედიტის მინიჭების პრობებს; რეკომენდაციებს სპეციალური საგანამანთლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის; ინფორმაციას ქართული ენის/სხვა სახის კომპეტენციის დადასტურების შესახებ; ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ინფორმაციას დანართების შესახებ (დანართების ნუსხა); ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ; პროგრამის განხორციელების ადგილს, მისამართს, ბნსუ-ს საკონტაქტო ინფორმაციას და სხვა ინფორმაციას საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებისა და ბნსუ-ს სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართებია: სასწავლო გეგმა (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის); სასწავლო გეგმა (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის); სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი; ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ; ადაპტირებული მოდულები (შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ ყველა ზოგად და სავალდებულო/პროფესიულ მოდულს); არჩევითი მოდულები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ქართული ენის მოდულები;

4.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების შერჩევის მიდგომები

4.5.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება შესაძლოა განსხვავდებოდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან, თუმცა არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი და არ უჩენდეს დაინტერესებულ პირებს არასწორ მოლოდინს სწავლის შედეგებთან ან სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით;

4.5.2 პროგრამის სახელწოდება შესაძლოა იყოს, როგორც დასაქმების პოზიცია, ასევე საქმიანობის ან სწავლების სფერო.

4.6. მოდულის სახეები, სტრუქტურა და შინაარსი

4.6.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სამი ტიპის მოდულებს: ზოგადი მოდულები, პროფესიული მოდულები და არჩევითი მოდულები, ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ასევე მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს;

4.6.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სავალდებულოდ მოიცავს ქართული ენის მოდულებს (A2 და B1), რომელთა მიზანია მოამზადოს არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტები პროგრამის გასავლელად ქართულ ენაში. საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის გათვალისწინებულია ქართული ენის A2 დონის მოდული, ხოლო საშუალო და უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის - ქართული ენის A2 და B1დონის მოდულები. ქართული ენის მოდულების გავლა სავალდებულო არაა იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა ხორციელდება არაქართულ ენაზე;

4.6.3. საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ზოგადი მოდულები, ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში ინტეგრირებული ზოგადი მოდულები და პროფესიული მოდულები სავალდებულოა და მათი ამოღების/ჩანაცვლების უფლება სამუშაო ჯგუფს არ გააჩნია;

4.6.4. არჩევითი მოდულების შერჩევისას, სამუშაო ჯგუფი ხელმძღვანელობს საგანმანათლებლო სტანდარტით და შესაბამისად განსაზღვრავს ამ ტიპის მოდულთა პროგრამაში დაშვების შესაძლებლობასა და მოცულობას, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ ოდენობასთან;

4.6.5. სამუშაო ჯგუფის მიერ არჩევითი მოდულების შერჩევის შემთხვევაში, არჩევითი მოდულები ლოგიკურად უნდა უკავშირდებოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობას, რაც სამუშაო ჯგუფის მიერ უნდა იქნეს დასაბუთებული. არჩევითი მოდულების შერჩევისას სამუშაო ჯგუფმა უნდა გაითვალისწინოს მოდულზე დაშვების წინაპირობები, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესამუშავებულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს ან არ უნდა იყოს მითითებული წინმსწრები მოდულის გავლის აუცილებლობა. პროგრამაში შეტანილი არჩევითი მოდულის გავლა კვალიფიკაციის მისანიჭებლად სავალდებულოა;

4.6.6. თუ საგანმანათლებო სტანდარტი მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს, პროგრამის შემუშავებისას, სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა, რომელსაც ასწავლის პროგრამის ფარგლებში და ეს ასახოს უცხოური ენის მოდულში. თუ საგანმანათლებლო სტანდარტი აკონკრეტებს უცხოურ ენას, მისი შეცვლა დაუშვებელია;

4.6.7. თუ პროგრამა პროფესიულ მოდულებში ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტულ უცხოურ ენას, მაშინ ზოგადი უცხოური ენა იგივე უნდა იყოს. მაგალითად: თუ პროფესიული მოდული არის „ინგლისური ენა მეზღვაურთათვის", ზოგადი უცხოური ენის მოდულიც ინგლისური ენის უნდა იყოს;

4.6.8. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია არჩევით მოდულებში გაითვალისწინოს სხვა უცხოური ენის ან ენების სწავლებაც, ან უცხოური ენის უფრო მარტივი (დაბალი დონე) ან რთული (მაღალი დონე) მოდულები;

4.6.9. პროგრამის მოდულები შედგება სამი ნაწილისაგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები;

4.6.10. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე სახის ცვლილების განხორციელება დაუშვებელია. ასეთი ცვლილების საჭიროების შემთხვევაში, ბნსუ დაუყოვნებლივ აცნობებს უფლებამოსილ ორგანოს;

4.6.11. დამხმარე ჩანაწერები ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს, შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა, სათანადო დასაბუთებით. კონკრეტულად, შესაძლებელია შეიცვალოს სწავლების მიდგომები და მეთოდები, შეფასების მეთოდები, თემატიკა, საგანმანათლებლო რესურსი. განხორციელებული ცვლილება უნდა წარმოადგენდეს არსებულის თანაბარ ალტერნატივას ან უკეთ ითვალისწინებდეს სწავლების უახლეს მეთოდებს ან დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს;

4.6.12. მოდულის განხორციელებისათვის განსაზღვრული საათების განაწილებაში სამუშაო ჯგუფს შეუძლია ასახოს თავისი მიდგომები. საათების განაწილების ცვლილებისას დასაშვებია ცვლილება, როგორც პროფესიული სტუდენტის დატვირთვის სახეებს შორის (ჰორიზონტალურად), ასევე სწავლის შედეგებს შორის (ვერტიკალურად), საათების საერთო მოცულობის უცვლელად, დამოუკიდებელი საათების ცვლილებების გარეშე;

4.6.13. სამუშაო ჯგუფს შეუძლია თემატიკა შეცვალოს მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგის კონტექსტში, ასევე შეცვალოს სწავლების მეთოდები, საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლების შერჩეული მეთოდები უნდა იძლეოდეს სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობას. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლოა დაიგეგმოს, როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა - ერთად;

4.6.14. მოდულის განხორციელების ადგილის ველში მიეთითება ის ადგილი ან ადგილები, სადაც ხორციელდება სასწავლო პროცესი;

4.6.15. პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების მიმართულებების შეცვლა დაუშვებელია. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია დააკონკრეტოს შეფასების მეთოდი;

4.6.16. მოდულის ბოლოს შესაძლოა მიეთითოს იმ პირის (პირების) მონაცემები, რომელიც მოცემულ მოდულს განახორციელებს. შესაძლოა მოდულს ერთი, ორი ან მეტი პირი ახორციელებდეს. სასწავლო პროცესი შესაძლოა წარმართოს ერთმა ან რამდენიმე პირმა. თუ მოდულის სხვადასხვა სწავლის შედეგის სწავლებას სხვადასხვა პირი ახორციელებს, მოდულში/პროგრამის შესაბამის დანართში ხორციელდება ამ პირების იდენტიფიცირება. შესაძლებელია მოდულიდან ამოღებულ იქნას ინფორმაცია მოდულის განმახორციელებელი პირის შესახებ და ეს ინფორმაცია დასაშვებია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დაერთოს დანართის სახით ამ დებულების შესაბამისად;

4.7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრა

4.7.1. სამუშაო ჯგუფის მიერ, სათანადო დასაბუთებით, დასაშვებია საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შეცვლა იმგვარად, რომ პროგრამის წინაპირობა თავის თავში მოიცავდეს სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობის დაცვას, არ უნდა იყოს იმაზე დაბალი, ვიდრე ეს იყო განსაზღვრული საგანმანათლებლო სტანდარტით;

4.7.2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაძლოა შეიცვალოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობა სასწავლო პროცესში

4.8.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს ჩანაწერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სასწავლო პროცესში მონაწილეობის შესახებ;

4.8.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სასწავლო პროცესში მონაწილეობის შესახებ ჩანაწერი შესაბამისობაში უნდა იყოს საგანმანათლებლო სტანდართით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

4.9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსი

4.9.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი

1. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანურ რესურსს განეკუთვნება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, პრაქტიკის ობიექტზე - პროფესიული სტუდენტების სწავლებაზე/მენტორობაზე პასუხისმგებელი პირი;

2. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსების საკვალიფიკაციო და სხვა სახის მოთხოვნები განისაზღვრება ბნსუს შიდა მარეგულირებელი აქტით;

3. დაუშვებელია ერთი პირის მიერ პროგრამის ყველა პროფესიული მოდულის განხორციელება. პროგრამას სავალდებულოდ უნდა ჰყავდეს 2 ან მეტი განმახორციელებელი;

4. მოდულის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა უნდა იძლეოდეს პროგრამის მდგრადი განხორციელების შესაძლებლობას;

5. დასაშვებია, ინფორმაცია მოდულის განმახორციელებელი პირების ან/და ინფორმაცია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის თაობაზე, არ იყოს მოდულის დამხმარე ჩანაწერების ნაწილი და დამტკიცდეს პროგრამის დანართების სახით ან არსებობდეს ორივე სახით. პროგრამის დანართების სახით დამტკიცებული დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები, სავალდებულოდ უნდა მოიცავდეს ინფორმაციას კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის მიღწევისა და შეფასების კომპეტენციის ფლობის/დადასტურების შესახებ. ამასთან, ჩანაწერის დასტურად უნდა მიეთითოს შესაბამისი მტკიცებულების სახე, მაგ.: დიპლომი, სერტიფიკატი, ცნობა და სხვა, რაც სავალდებულოდ განთავსდება პერსონალის პირად საქმეში;

6. პროგრამას სავალდებულოდ უნდა ჰყავდეს პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამას შესაძლოა ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი, ან ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი;

7. პროგრამის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო და სხვა მოთხოვნები განსაზღვრულია ბნსუს შიდა მარეგულირებელი აქტებით;

8. დასაშვებია ერთიდაიგივე პირი ხელმძღვანელობდეს ერთზე მეტ პროგრამას. აღნიშნული დატვირთვა უნდა მიეთითოს მასთან გაფორმებულ სამუშაოს აღწერილობაში/ხელშეკრულებაში. პერსონალის დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ ოდენობას.

4.9.2 პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესური

1. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესური მოიცავს სასწავლო გარემოს, სასწავლო გარემოს შესაბამის აღჭურვილობასა და მასალა - ნედლეულს;

2. სამუშაო ჯგუფი იხილავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და მასალა - ნედლეულის სარეკომენდაციო ნუსხას და იღებს გადაწყვეტილებას, ბნსუ-ში პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის მათი რელევანტურობის თაობაზე;

3. სამუშაო ჯგუფს, სათანადო დასაბუთებით უფლება აქვს ჩაანაცვლოს, დაამატოს ან ამოიღოს ცალკეული აღჭურვილობა/ინვენტარი/მასალა/ნედლეული. სამუშაო ჯგუფის მიერ განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და მასალა-ნედლეული უნდა იძლეოდეს პროგრამის სწავლის შედეგების სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას;

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი ან მისი ნაწილი შესაძლოა ბნსუ-ს ნაცვლად ხელმისაწვდომი იყოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციის ბაზაზე/პრაქტიკის ობიექტზე. ამ შემთხვევაში, მოცემულ აღჭურვილობასთან/მასალა ნედლეულთან პროფესიულ სტუდენტთა დაშვების შესაძლებლობა, უწყვეტობა და საკმარისობა, იმ ოდენობითა და ხანგრძლივობით, რასაც ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, გარანტირებული უნდა იყოს ბნსუ-სა და ორგანიზაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ორგანიზაციის ბაზაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ოდენობის გათვალისწინებით. ამავე ხელშეკრულებას უნდა დაერთოს შესაბამისი რესურის (აღჭურვილობა, მასალა-ნედლეული და სხვა) ნუსხა, რომლის უზრუნველყოფასაც ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაცია;

5. თუ ბნსუ დაგეგმავს კონკრეტული მოდულის ან სწავლის შედეგის განხორციელებას პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ამ ორგანიზაციასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას უნდა დაერთოს მოდულის ან სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევისათვის საჭირო

მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი აღჭურვილობა განსაზღვრული არ არის, მაგ. ზოგიერთ საგანმანათლებლო სტანდარტში მოცემული საწარმოო პრაქტიკის მოდულის სწავლებისთვის არ არის განსაზღვრული მატერიალური რესურსი. ასეთ შემთხვევაში რესურსის მიუთითებლობა არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს სწავლის შედეგების ხარისხიანად მიღწევის უზრუნველყოფას.

4.9.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესური

1. საგანმანათლებლო რესურსში/გამოყენებულ ლიტერატურაში ან/და ინფორმაციის წყაროებში უნდა მიეთითოს ბნსუ-ს საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ქაღალდზე ან ელექტრონულ მატარებელზე არსებული ლიტერატურა, რიდერი ან/და სხვა რესურსი, ასევე ინტერნეტ სივრცეში არსებული ბმულები, რომლებიც არსებობს თავისუფალი წვდომის რეჟიმში, რომელსაც მოდულის სწავლებისას გამოიყენებს მოდულის განმახორციელებელი და პროფესიული სტუდენტებისთვის იქნება ხელმისაწვდომი;

2. ელექტრონული რესურსის გამოყენების შემთხვევაში, ლიტერატურაში დასახელების გვერდით მიეთითება „ელექტრონული ვერსია“ და ბმული (არსებობის შემთხვევაში);

3. მოდულში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი უნდა იყოს სწავლის შედეგების ადეკვატური და იძლეოდეს სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევის შესაძლებლობას;

4. იმ შემთხვევაში, თუ ბნსუ-ს ბიბლიოთეკაში არ არის დაცული მოდულის სწავლის შედეგის მიღწევისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე, ბნსუ-ს ბიბლიოთეკის პერსონალი უზრუნველყოფს მათ შეძენას, არაუგვიანეს პროგრამის პროექტის შემუშავების დასრულებამდე;

5. იმ პროგრამების შემთხვევაში, როდესაც მოდულები საგანმანათლებლო რესურსების სახით ითვალისწინებენ ნორმატიული აქტების გამოყენებას, მოდულში აქტის დასახელების გვერდით უნდა მიეთითოს საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემა - „matsne.gov.ge“ ან სხვა. სისტემასთან უწყვეტი წვდომა უნდა დადასტურდეს ბნსუ-ს მიერ სისტემასთან/ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ან შესაბამისი წერილობითი დოკუმენტის/მომსახურების საფასურის გადახდით დოკუმენტის არსებობით;

4.9.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი

1. პროგრამის შემუშავებისას, ბნსუ-ს საფინანსო სამსახურის ორგანიზებითა და სამუშაო ჯგუფის წევრების ჩართულობით, სავალდებულოდ იქმნება პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო ბიუჯეტი - „პროგრამის ბიუჯეტი (საპროგნოზო)“. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი უზრუნველყოფს ბნსუ-ს ფინანსური რესურსების მობილიზებასა და პროგრამის მდგრადობას, რაც საშუალებას იძლევა სწორად განისაზღვროს სწავლის საფასური, ჯგუფში პროფესიული სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა;

2. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან;

3. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სწავლის საფასური/ვაუჩერი. პროგრამა შესაძლებელია სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, გრანტებით, მიზნობრივი დაფინანსების წყაროებით, დამხმარე ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით და სხვა, რაც აისახება პროგრამის ბიუჯეტში;

4. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, მოიცავს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების შრომის ანაზღაურებას დადგენილი წესის შესაბამისად, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას, არსებობის შემთხვევაში-პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა სასწავლო ექსკურსიები, ვორქშოპები და სხვა. თუ სხვა მიზნობრივი წყაროებიდან არ ფინანსდება, პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით შესაძლოა ითვალისწინებს საოპერაციო ხარჯებს. ადმინისტრაციულ, ასევე შენობა-ნაგებობების და აღჭურვილობის ექსპლოატაციის, შენახვის, აღდგენის, კომუნალურ და სხვა ხარჯებს, რაც პირდაპირ დაკავშირებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად განხორციელებასთან;

5. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებით განისაზღვრება რენტაბელური ჯგუფის შემადგენლობა - პროფესიულ სტუდენტთა ის მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას;

6. პროგრამის ბიუჯეტის შედგენისას, არსებობის შემთხვევაში, ბნსუ-ს მიერ გაითვალისწინება გასული წლების დინამიკა, მათ შორის: დაგეგმილი შემოსავლები, რომელიც ფაქტობრივად ვერ იქნა მიღებული, რაც გამოწვეული იყო პროფესიულ სტუდენტთა განთესვით, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებით, შიდა ან გარე მობილობით, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტით, გადა-ხდის უუნარობით (არასაბიუჯეტო დაფინანსების შემთხვევაში), ბნსუ-ს მიერ დადგენილი ფინანსური შეღავათებით და სხვა;

7. ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესით, სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას, რომელიც უნდა აღემატებოდეს პროგრამის ბიუჯეტის მიხედვით განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარს.

4.10. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტი

4.10.1. ბნსუ-სთან ერთად პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების უფლება აქვს მეწარმე სუბიექტს/იურიდიულ პირს ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს;

4.10.2. დასაშვებია ერთი პროგრამისათვის რამდენიმე პრაქტიკის ობიექტის არსებობა. ასეთ შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფი შესაძლოა გადანაწილდეს პრაქტიკის სხვადასხვა ობიექტებზე ერთი და იგივე სწავლის შედეგის მისაღწევად ან ერთსა და იმავე პროფესიულ სტუდენტს უხდებოდეს სხვადასხვა ობიექტებზე სხვადასხვა სწავლის შედეგის მიღწევა (როტაცია);

4.10.3. ბნსუ-სთან ერთად პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების პრაქტიკის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) აცნობიერებდეს პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას და საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობას და ჰქონდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მოტივაცია;

ბ) მისი ადამიანური და მატერიალური რესურსი შესაბამისობაში უნდა იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებთან;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზიას/ნებართვას ან სხვა სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მოპოვებული ჰქონდეს ლიცენზია/ნებართვა ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება;

დ) ბნსუ უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევაში დაადგინოს დამატებითი კრიტერიუმები;

ე) ბნსუ-სა და პრაქტიკის ობიექტს შორის თანამშრომლობის პერიოდში, მოცემულ კრიტერიუმებთან პრაქტიკის ობიექტის შესაბამისობა ბნსუ-ს მიერ მოწმდება პრაქტიკული კომპონენტის დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

4.10.4. პრაქტიკის ობიექტისათვის განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესი

1. პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფი, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეარჩევს პრაქტიკის ობიექტს წინამდებარე დებულების შესაბამისად;
2. პრაქტიკის ობიექტთან კომუნიკაციას ახორციელებს ბნსუ-ს პრაქტიკისა და დასაქმების სამსახურის პერსონალის პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად;
3. პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელს უნდა განემარტოს პროგრამის განხორციელებაში პრაქტიკის ობიექტის როლი, მონაწილეობის ფორმა, პასუხისმგებლობები, უფლებები და მოვალეობები;
4. კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით, პრაქტიკის ობიექტისათვის განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობიდ მიზნით, ბნსუ-ს პრაქტიკისა და დასაქმების სამსახურის პერსონალის პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან ერთად ავსებს შესაბამის ფორმას ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესით. მოცემულ ფორმაში უნდა მიეთითოს კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილების მტკიცებულებები. შესაბამისობის ფორმას ხელს აწერს ბნსუ-სა და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი;

4.10.5 პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციასთან ბნსუ აფორმებს პრაქტიკის ხელშეკრულებას;

4.10.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს:

ა) პრაქტიკის ობიექტისა და ბნსუ-ს საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
ბ) პროგრამის სახელწოდებას (ქართულ და ინგლისურ ენებზე), რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა;
გ) პრაქტიკის ობიექტისა და პროგრამის განხორციელების ადგილის მისამართებს;
დ) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების განაწილებას დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტს შორის;
ე) პრაქტიკის ობიექტზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;
ვ) პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის აღწერას, მათ შორის, ინფორმაციას შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ;
ზ) პროფესიული სტუდენტის სწავლის პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული სტუდენტის გამოცხადების შესაძლებლობას და მის ჩართულობას აღნიშნულ პროცესებში, ასევე აღნიშნულ პროცესებში მისი ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმებს (გეოგრაფიული მდებარეობა, ტრანსპორტირება და სხვა);
თ) პრაქტიკის ობიექტის ვალდებულებებს პროფესიული სტუდენტის სწავლის პერიოდში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის შესახებ;
ი) ხელშეკრულების ვადას, რომელიც არ უნდა იყოს პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და ხელშეკრულების შეწყვეტის წესს;
კ) პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტთა უზრუნველყოფის თაობაზე ადამიანური და მეტერიალური რესურსებით;
ლ) პრაქტიკის ობიექტის სხვა უფლებებს, ვალდებულებებს, პასუხისმგებლობებსა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საკითხებს.

4.10.7. პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული თეორიული სწავლების თემატიკისა და პრაქტიკული სწავლების დროში თანხვედრის საკითხები წყდება ბნსუ-სა და პრაქტიკის ობიექტის მიერ, ურთიერთშეთანხმებით;

4.10.8. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პრაქტიკის ობიექტ(ებ)თან დადებული ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობების ჯამს;

4.10.9. ბნსუ-სა და პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ვადამდე შეწყდება, თუ:

ა) პრაქტიკის ობიექტი არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ მოვალეობებს;
ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის ობიექტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების შედეგები, თუ პრაქტიკის ობიექტი გონივრულ ვადაში ვერ უზრუნველყოფს ხარვეზების აღმოფხვრას;
გ) ბნსუ-ს უარი ეთქვა ავტორიზაციაზე/გაუუქმდა ავტორიზაცია ან ბნსუ-მ დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება.

4.10.10. ბნსუ-სა და პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს შეწყვეტის თარიღამდე შესაბამისი ფაქტის დადგომის მომენტიდან.

4.11. პროგრამის სასწავლო გეგმა

4.11.1. პროგრამის სასწავლო გეგმა არის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას;

4.11.2. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას გაითვალისწინება პროგრამის კომპონენტებით/მოდულებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა;

4.11.3. საწარმოო პრაქტიკის კომპონენტში, პრაქტიკის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლოა მხედველობაში იქნას მიღებული სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევები;

4.11.4. სასწავლო გეგმაში სავალდებულოდ მიეთითება დროის შუალედი განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასებისათვის, შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდისათვის;

4.11.5. სასწავლო გეგმაში მიეთითება შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) პროგრამის დასახელება;
ბ) მოდულის დასახელება;
გ) მოდულის სარეგისტრაციო ნომერი;
დ) მოდულის ხანგრძლივობა კრედიტებში;
ე) სასწავლო გარემო;
ვ) მოდულზე დაშვების წინაპირობები;
ზ) მოდულის განხორციელების ხანგრძლივობა კვირეებში;
თ) კვირეული სასწავლო დატვირთვა;
ი) განმეორებითი შეფასების თაობაზე აღნიშვნა;
კ) საათების ჯამი (საკონტაქტო, დამოუკიდებელი, შეფასება);
ლ) სხვა სახის ინფორმაცია.

4.11.6. ამ მუხლის 11.5 პუნქტის თ) ქვეპუნქტის მიზნებისათვის, საშუალო კვირეული დატვირთვა განისაზღვრება 30-40 საათი. თუმცა, შესაძლოა არსებობდეს ცალკეული გარემოება, როდესაც სასწავლო დატვირთვა ამ დიაპაზონით ვერ განისაზღვრება, მაგ: პრაქტიკული

კომპონენტის შემთხვევაში, შეფასების ან განმეორებითი შეფასების კვირეული დატვირთვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემთხვევები და სხვა. პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

## მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება და განხორიელების უფლების მოპოვება

5.1. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გადაეცემა ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;

5.2. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იხილავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას პროფესიული საგანმანალებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან და კანონმდებლობის მოთხოვნებთან და წერს დასკვნას;

5.3. ბნსუ-ს ხარისხის უზრუველყოფის სამსახურის დასკვნა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტი გადაეცემა ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს;

5.4. ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭო იხილავს პროგრამის პაკეტს და ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის შესახებ და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებათაგან ერთ-ერთს:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გადამუშვების შესახებ, რა დროსაც სრულად/ნაწილობრივ უნდა იქნეს გათვალისწინებული ბნსუ-ს ხარისხის უზრუველყოფის სამსახურის დასკვნაში მოყვანილი გარემოებები;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გადამუშვების შესახებ, რა დროსაც უნდა იქნეს გათვალისწინებული ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები.

5.5. ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება ბნსუ-ს ხარისხის უზრუველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე;

5.6. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების პროცედურებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, ცვლილებების განხორციელება

6.1. პროგრამაში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის (პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები), ჩარჩო დოკუმენტში/საგანმანათლებლო სტანდარტში, შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში/საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის/სხვა შემთხვევაში), საკანონმდებლო ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე;

6.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში:

ა. ბნსუ-ს ინიციატივით;

ბ. პროგრამის შემუშავების საფუძვლად არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ან პროგრამის შემუშავების მარეგულირებელ სხვა საკანონმდებლო აქტებში ან და სხვა ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში.

6.3. ბნსუ-ს ინიციატივით, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება ემსახურება პროგრამის განვითარებას. ამ მიზნით, ბნსუ-ს წარმომადგენელთა ინიციატივა ეყდნობა შემდეგ გარემობებს:

ა) პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგებს;

ბ) პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებს;

გ) პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს;

დ) სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ცვლილებას ან ახალი ტექნოლოგიების/მიდგომების დანერგვას;

ე) ახალი საგანმანათლებლო რესურსის იდენტიფიცირებას;

ვ) პროგრამის მდგრადობის მიზნით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა დამატებას;

ზ) პროფესიულ სტუდენტთა შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს;

თ) სხვა ნებისმიერ გარემოებას, რაც მიზნად ისახავს პროგრამის განვითარებას.

6.4. პროგრამაში ცვლილების შეტანის საფუძველია:

6.4.1. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით განსაზღვრული ღონისძიებები, მათ შორის:

ა) მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა/პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით;

ბ) მონაცემების დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი;

გ) გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება - ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის და სხვა პირების მიერ;

დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;

ე) ცვლილებების განხორციელება - პროგრამის განვითარების რეკომენდაციების იმპლემენტაცია შიდა აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

6.4.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები გაწერილია ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტებში;

6.4.3. დაინტერესებული მხარეები განისაზღვრება პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პირების მიერ;

6.4.4. პროგრამის ცვლილების საფუძვლების დოკუმენტირება:

ა) პროგრამის ხელმძღვანელის ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათი და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა, პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიზანშეწონილობის თაობაზე. პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ სამსახურებრივ ბარათს თან უნდა დაერთოს ცვლილებების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება და ცვლილებების პროექტი;

ბ) ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა, სადაც არგუმენტირებულია პროგრამაში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში, დასკვნას იხილავს პროგრამის ხელმძღვანელი, ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის

ხელმძღვანელი. ცვლილების თაობაზე პროგრამის ხელმძღვანელის დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი შეიმუშავებს პროგრამაში შესატანი ცვლილებების პროექტს.

6.4.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები მტკიცდება ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს მიერ.

6.5. ბნსუ-ს ინიციატივით პროგრამაში დასაშვები ცვლილებები

6.5.1. ბნსუ-ს ინიციატივით დასაშვებია პროგრამაში შემდეგი სახის ცვლილებების განხორციელება:

ა) პროგრამის სახელწოდების ცვლილება;

ბ) პროგრამის მიზნისა და კურსდამთავრებულის კარიერული შესაძლებლობების დაზუსტება;

გ) პროგრამის სტრუქტურის შეცვლა, რაც გამოწვეულია არჩევითი მოდულების დამატებით ან ამოღებით;

დ) მისაღწევი სწავლის შედეგების შეცვლა, რაც გამოწვეულია არჩევითი მოდულების დამატებით ან ამოღებით;

ე) სწავლების მიდგომის შეცვლა/დამატება;

ვ) მოდულების მე-3 ნაწილში (დამხმარე ჩანაწერები) ნებისმიერი ხასიათის ცვლილება, მათ შორის: თემატიკის გამრავალფეროვნება, სასწავლო მეთოდების შეცვლა, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლა, საათების გადანაწილება, სასწავლო რესურსის შეცვლა და სხვა;

ზ) მატერიალური რესურსების ჩამონათვალის ცვლილება;

თ) პროგრამის/მოდულის განხორციელების ადგილის ცვლილება, მათ შორის პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტის ცვლილება;

ი) პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების შემადგენლობის ცვლილება;

კ) სასწავლო გეგმის ცვლილება;

ლ) ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავს დოკუმენტის ტექნიკურ ან რედაქციულ გამართვას ან ჩანაწერების შესაბამისობაში მოყვანას მოქმედ კანონმდებლობასთან;

მ) პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება;

ნ) პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილება;

ო) სხვა სახის ცვლილებები, რომელთა განხორციელებაც ბნსუ-ს კომპეტენციას განეკუთვნება.

6.5.2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ა) გ), დ), თ), მ), ნ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ცვლილებების ასევე იმ ცვლილებების თაობაზე ინფორმაციას, რომელიც ეხება ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილებების განხორციელებას, შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულება ბნსუ-ს მიერ, ეგზავნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

6.5.3. ბნსუ უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, ამ პროგრამის შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ აღნიშნული პროგრამის შეცვლამდე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის განხორციელების შესახებ, რასაც კანონმდებლობით დადგენილი წესით აცნობებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

6.6. პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინიცირება

6.6.1. თუ პროგრამაში განსახორციელებელია ისეთი სახის ცვლილება, რომლის უფლებამოსილებაც ბნსუ-ს არ გააჩნია, ბნსუ ახდენს ცვლილებების ინიცირებას შესაბამის სახელმწიფო უწყებაში;

6.6.2. ამ მუხლის 6.1 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებს მიეკუთვნება ცვლილებების საჭიროება პროგრამის სწავლის შედეგებში, შეფასების კრიტერიუმებში, კომპეტენციის პარამეტრის ფარგლებში, ან შეფასების მიმართულებებში და სხვ;

6.6.3. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში, ბნსუ შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ერთობლივი ანგარიში, ოფიციალური წერილით ეგზავნება შესაბამის სახელმწიფო უწყებას;

6.6.4. ამ მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებაში, ბნსუ უფლებამოსილია ჩართოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების ამავე პროგრამის განმახორციელებელი პირები და ერთობლივი წერილით გააკეთონ ინიცირება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის განვითარებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

6.7. პროგრამაში ცვლილებების განხორციელების წესი:

6.7.1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება პროგრამის დამტკიცებისათვის განსაზღვრული პროცედურების დაცვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცვლილება ეხება ტექნიკურ ან მექანიკურად განსახორციელებელ ცვლილებებს ან კონკრეტული მოდულის მესამე ნაწილს. ასეთ შემთხვევაში, ცვლილებების რელევანტურობას იხილავს პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი და მისი თანხმობით, ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭო ამტკიცებს პროგრამაში ცვლილებებს;

6.7.2. პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი;

6.7.3. თუ პროგრამაში შესული ცვლილებები ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობას, რაც გულისხმობს ცვლილებების შინაარსის შეუსაბამობას საბჭოს არსებულ გადაწყვეტილებასთან ან კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებს, ბნსუ კანონმდებლობით დადგენილი წესით შუამდგომლობით მიმართავს ავტორიზაციის საბჭოს ცვლილებების განხორციელების თაობაზე ან მიმართავს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ინფორმირების მიზნით;

6.7.4. პროგრამაში შეტანილი ისეთი სახის ცვლილებები, რომლებიც იწვევენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის საჭიროებას, ასეთი ცვლილებები ძალაში შედის ავტორიზაციის საბჭოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან;

6.8. პროგრამებში ცვლილებების განხორციელების შესახებ ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ბნსუ-ს მიერ აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

### მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

7.1. პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭო;

7.2. ბნსუ-ს პროგრამის გაუქმება უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის დასაბუთებას;

7.3. ბნსუ-ს პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა გაანალიზდეს პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მექანიზმები;

7.4. ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს მიერ პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, შესაბამისი ინფორმაცია უნდა მიეწოდეს სსიპ განათლების არისხის განვითარების ცენტრს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პირთა ინფორმირებისა და პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

8.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ან ცვლილებების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა/მათ კანონიერ წარმომადგენელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/სხვა დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება და პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა

8.1.1. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ვალდებულია პროგრამის გაუქმების ან ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამისი პროგრამის პროფესიულ სტუდენტებს, პროგრამების განმახორციელებელ პერსონალს, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს, ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა;

8.1.2. პროგრამის გაუქმების ან ცვლილებების შესახებ ინფორმირება ხორციელდება გაერთიანებულ შეხვედრაზე, ინფორმაციის მიწოდების გზით ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

8.1.3. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;

8.1.4. პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში, ბნსუ ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს/მის კანონიერ წარმომადგენელს წერილობით განუმარტოს ამ მუხლის 8.1.3 პუნქტით გათვალისწინებული უფლება. ამ მუხლის 8.1.3 პუქნტით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისათვის პროფესიული სტუდენტის/მისი კანონიერი წარმომადგენლის ნება/გადაწყვეტილება გამოხატული უნდა იყოს მატერიალურად ან ელექტრონულად, წერილობითი სახით;

8.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება (საჭიროების მიხედვით) ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესით. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა მუშავდება პროფესიული სტუდენტის მონაწილეობით;

8.1.6. საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება დასაშვებია, თუ აღნიშნული უკავშირდება არსებულ დარგობრივ მახასიათებელში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანას. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა არ განიხილება ახალ პროგრამად;

8.1.7. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება შესაბამისი უწყებების ინფორმირებას განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.2. პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას ბნსუ ახორციელებს შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

ა) მისცეს პროგრამის დასრულების შესაძლებლობა გასაუქმებელი საგანამანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტებს. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაზე ახალი ნაკადის მიღება არ ხორციელდება;

ბ) ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესს. ასეთი შემთხვევებისათვის ბნსუ აფორმებს ხელშეკრულებას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ იდენტურ/მსგავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს;

გ) შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს ამავე ან სხვა დაწესებულებაში, იმავე ან მსგავსი მიმართულებისა და სპეციალობის ფარგლებში განხორციელებულ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა მობილობის წესით;

დ) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების ინფორმირება სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;

ე) გააცნოს პროფესიულ სტუდენტებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის წესი, ვადები და პირობები.

## მუხლი 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა

9.1. ბნსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგეს საორგანიზაციო სტრუქტურის, დოკუმენტაციის (შიდა დებულებები, პროცედურების განხორციელების წესები, მეთოდური მითითებები, ინსტრუქციები), პროცესების და რესურსების ერთობლიობას, რომელიც საჭიროა ხარისხის საერთო მართვისა და კონტროლისთვის;

9.2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე;

9.3. პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ბნსუ-ში ხორციელდება მუდმივი შიდა მონიტორინგი, რომლის დროსაც ხდება მონაცემების შეგროვება, შესწავლა, გაანალიზება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება/პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელება;

9.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი ვრცელდება შემდეგ მიმართულებებზე:

- სასწავლო პროცესის დაგეგმვა და ადმინისტრირება;
- სასწავლო გარემოს, მატერიალური რესურსების, ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა;
- სასწავლო მასალისა და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სწავლის შედეგის მიღწევა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია;
- პროგრამის პერსონალის ცოდნა/უნარები, კომპეტენცია;
- პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, ადმინისტრაციის და დამსაქმებელთა კმაყოფილების დონის განსაზღვრა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები;
- კურსდამთავრებულთა უნარების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა;
- სხვა კომპონენტები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას.

9.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მონიტორინგს ახორციელებს ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად;

9.6. შიდა მონიტორინგის ყველა აქტივობა თითოეული პროგრამისთვის უნდა განხორციელდეს დადგენილი პერიოდულობით ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;

9.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მონიტორინგის განხორციელების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, პროფესიული მასწავლებლები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, ადმინისტრაცია და ა.შ) კმაყოფილების კვლევა;

9.8. დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების კვლევა ხორციელდება წინასწარ შედგენილი კითხვარების მეშვეობით ან/და ინტერვიურების ან/და ფოკუს ჯგუფებთან მუშაობის გზით;

9.9. პროგრამის შეფასებისთვის ასევე შეიძლება სხვადასხვა ინდიკატორების გამოყენება, რომელთა დანიშნულებაა პროგრამის შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლების მეშვეობით, ასე მაგალითად:

- პროგრამის პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების დადასტურების მაჩვენებელი (მათ შორის პირველი განმსაზღვრელი/შუალედური/საკვალიფიკაციო შეფასების/გამოცდის შედეგები, განმეორებითი შეფასების შედეგები);
- პროგრამაზე ჩარიცხვის დინამიკა (პროფესიული სტუდენტების რაოდენობა რამდენიმე წლის განმავლობაში);
- პროფესიულ სტუდენტთა განთესვის მაჩვენებლები - პროგრამაზე ჩარიცხულთა და პროგრამის კურსდამთავრებულთა თანაფარდობა (რამდენიმე წლის განმავლობაში);
- პროგრამაზე მობილობით გადმოსული და მობილობით გადასული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მათი თანაფარდობა (რამდენიმე წლის განმავლობაში);
- პროგრამის დასაქმებული კურსდამთავრებულების საერთო რაოდენობა (წლების მიხედვით);
- პროფესიით დასაქმებული პროგრამის კურსდამთავრებულების რაოდენობა (რამდენიმე წლის განმავლობაში);
- დამსაქმებელთა მიერ მათთან დასაქმებული პროგრამის კურსდამთავრებულების კომპეტენციების დონის შეფასება და სხვა;

9.10. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წლის განმავლობაში ადგენს შუალედურ და საბოლოო ანგარიშს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შესახებ და განსახილველად წარუდგენს ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს;

9.11. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები უნდა მოიცავს ინფორმაციას როგორც მონიტორინგის შედეგების, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებსა და ამ რეკომენდაციების შესრულების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს;

9.12. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშები განიხილება ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოზე და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება პროცესების გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ.

## მუხლი 10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

10.1. პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და საჯაროობის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი და კატალოგის ელ.ვერსია განთავსებულია ბნსუ-ს ვებგვერდზე;

10.2. ბნსუ-ს ვებგვერდზე გათავსებულია ინფორმაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პირობების, სწავლის საფასურის/დაფინანსების წყაროების, პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსების, სასწავლო პროცესის და მეცადინეობის განრიგის შესახებ, ბნსუ-ს საკონტაქტო ინფორმაცია და სხვ.;

10.3. ბნსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ამონაბეჭდის სახით ინახება ბნსუ-ში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის;

10.4. ბნსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლება ხდება ყოველწლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

10.5. ბნსუ-ში სწავლის მსურველს და პროფესიულ სტუდენტს კონსულტაციას უწევენ ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პერსონალი და ბნსუ-ს სხვა პერსონალი.

## მუხლი 11. სწავლების ენა

11.1. ბნსუ-ში სწავლების ენა არის ქართული;

11.2. პროგრამის უცხოურ ენაზე განხორციელება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## თავი III. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა

### მუხლი 12. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება

12.1. დაინტერესებული პირის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, ბნსუ მიმართვის შემთხვევაში ვალდებულია დაინტერესებულ პირს:

ა) გააცნოს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობები;

ბ) მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ;

გ) მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამაზე რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს რეგისტრაციაში;

დ) მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამაზე მის მიერ გასაწევი საგანმანათლებლო სერვისების, მათ შორის, პროგრამის თავისებურებების (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები) შესახებ;

12.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისთვის დაუშვებელია საფასურის დადგენა;

12.3. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება ხორციელდება მიმართვის შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში;

12.4. დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას ახორციელებს ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის პერსონალი, სხვა პირები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

### მუხლი 13. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება

13.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) ბნსუ-ს მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;

ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;

გ) შერჩევა;

დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა, რომლის ფორმა მტკიცდება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - მართვის სისტემა) ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ე) შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი;

ვ) ამოღებულია

13.2. ბნსუ-ს მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება

13.2.1. პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, ბნსუ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის (შემდგომ მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად;

13.2.2 იურიდიულ პირებს, რომელთა მიმართაც დაწყებულია პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ ადმინისტრაციული წარმოება და პროგრამის განხორციელების უფლება მიენიჭებათ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ, უფლება აქვთ, აპლიკანტთა რეგისტრაციის ეტაპზე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ￿სამართლებრივი აქტით მათთვის ხელახლა დადგენილ ვადაში უზრუნველყონ ახალ პროგრამებზე მიღების გამოცხადება ელექტრონულ ანკეტა-კითხვარში;

13.2.3. ანკეტა-კითხვარი წარმოადგენს ბნსუ-ს მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით შექმნილ მოდულს, რომელშიც აისახება ინფორმაცია ბნსუ-ს, მისი პროგრამების, მისაღები ადგილებისა და სხვა პირობების შესახებ. ანკეტა-კითხვარი არის აპლიკანტთა რეგისტრაციის მიზნით შექმნილი სარეგისტრაციო სისტემის ინფორმაციის წყარო. ანკეტა-კითხვარის ფორმა მტკიცდება მართვის სისტემის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

13.2.4 დაწესებულებების და მათი პროგრამების შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მართვის სისტემისთვის მიწოდებული მონაცემები, რომლებიც აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ხოლო ამავე სისტემაში დაწესებულების მიერ შევსებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია თავად დაწესებულება.

13.4. კონკრეტულ სასწავლო წელს მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპით:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისათვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

ბ) აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება ბნსუ-ს მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების შესაბამისად, ანკეტა-კითხვარის შევსების დაწყების წინა დღის მდგომარეობით;

გ) დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის მდგომარეობით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების შესაბამისად.

13.5. პროფესიული განათლების მართვის სისტემა ამუშავებს ანკეტა-კითხვარში ასახულ მონაცემებს ელექტრონულად და განათავსებს სარეგისტრაციო სისტემაში;

13.6. კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული რეიტინგული სიების ბნსუ-სთვის ხელმისაწვდომობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, ბნსუ უფლებამოსილია მისაღები ადგილები გაზარდოს შესაბამის პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის ფარგლებში.

### მუხლი 14. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება

14.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად;

14.2. სარეგისტრაციო სისტემა წარმოადგენს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემადგენელ ელექტრონულ მოდულს;

14.3. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში;
14.4. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა;
14.5. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ბნსუ-ს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი;
14.6. რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინებით, შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით;
14.7. აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისთვის ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში;
14.8. ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია;
14.9. აპლიკანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მართვის სისტემა იტოვებს შესაძლებლობას ტესტირების მიზნით, აპლიკანტი გადაანაწილოს სხვა საგამოცდო ქალაქში/მუნიციპალიტეტში.

### მუხლი 15. აპლიკანტთა შერჩევის პროცესის ორგანიზება

15.1. აპლიკანტთა შერჩევა მოიცავს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასების პროცესს;
15.2. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით;
15.3. შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;
15.4. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით, რომელიც არეგულირებს:
ა) შეფასების ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;
ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმებს;
გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;
დ) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;
ე) აპელაციის წესსა და ვადებს;
ვ) საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;
ზ) ბნსუ-ს მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.
15.5. თითოეულ საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტემენტის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. შერჩევა უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში. ბნსუ ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსოს ბნსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე;
15.6. ბნსუ ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული თარიღის/თარიღების შესახებ აცნობოს აპლიკანტს, გონივრულ ვადაში, ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განსაზღვრული წესით;
15.7. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესარჩევი და აპელაციის კომისიების ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ ბნსუ-ს წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და უნდა ითვალისწინებდეს ბნსუ-ს პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობას;
15.8. ბნსუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს;
15.9. შეფასება უნდა იყოს დიფერენცირებული და ბნსუ-მ უნდა განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შერჩევის ეტაპის დაწყებამდე;
15.10. პროფესიული განათლების მართვის სისტემა, რეიტინგულ სიას ადგენს აპლიკანტის შეფასების შედეგების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
15.10.[1] თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით, რომელთა რეიტინგული ქულა უტოლდება ან აღემატება დაწესებულების მიერ პროგრამისთვის დადგენილ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს;
15.11. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;
15.12. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით;
15.12.[1] თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.
15.13. ამოღებულია
15.14. ამოღებულია
15.15. ამოღებულია
15.16. პროფესიული განათლების მართვის სისტემა, სარეგისტრაციო სისტემაში, უზრუნველყოფს:
ა) ბნსუ-სთვის რეიტინგულ სიაში აპლიკანტთა რაოდენობის ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;
ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით, ამ დებულების მუხლის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
15.17. თუ აპლიკანტს რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, ამ მუხლის მე-16 პუნქტის „ბ“

ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის აპლიკანტებისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და ბნსუ-ში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის ბნსუ-ს მიერ განსაზღვრულ დოკუმენტებს.

## მუხლი 16. შესარჩევი კომისია

16.1. შესარჩევი კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 5 (ხუთი) წევრით (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარე);
16.2. შესარჩევი კომისის ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი გამორიცხავს მხოლოდ ბნსუ-ს წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და ითვალისწინებს ბნსუ-ს პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობას;
16.3. შესარჩევი კომისიის შემადგენლობა მტკიცდება ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
16.4. შესარჩევი კომისიის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და წევრები;
16.5. კომისიის წევრი შესაძლოა იყოს:

ა) პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ბ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პერსონალი;
გ) დარგის სპეციალისტ(ებ)ი;
დ) შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი/თანახელმძღვანელ(ებ)ი;
ე) დამსაქმებელი პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენელი (სავალდებულო );
ვ) პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული სხვა პირ(ებ)ი.

16.6. შესარჩევი კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება არანაკლებ 3 წევრი. მათ შორის სავალდებულოა დამსაქმებელი პარტნიორი ბნსუ-ს წარმომადგენელი პირის არსებობა. შესარჩევი კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება გასაუბრების შემთხვევაში კანდიდატის შეფასების ფურცლებში ასახული შედეგების დაჯამების საფუძველზე, საშუალო არითმეტიკული ქულის გამოყვანით, ხოლო ტესტირების დროს - აპლიკანტის მიერ შესრულებული ტესტის წინასწარ დამტკიცებულ ტესტის სწორ პასუხებთან შედარებით და ქულის მინიჭებით დადებითი შეფასებისათვის განსაზღვრული კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შემთხვევაში;
16.7. გასაუბრებისას შესარჩევი კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტს წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. კომისიის თითოეული წევრი კანდიდატს აფასებს ინდივიდუალურად. კომისიის წევრი შეფასების შედეგებს ასახავს გასაუბრების ფურცელში და ადასტურებს ხელმოწერით. კომისიის წევრს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს კანდიდატის შეფასებისაგან;
16.8. შესარჩევი კომისიის მიერ ხდება აპლიკანტთა შერჩევის შედეგების შეჯერება და პროგრამის ფარგლებში მისაღები კვოტის შესაბამისად იმ აპლიკანტთა გამოვლენა, რომლებმაც გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი-რეიტინგული სიებით უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, მოიპოვეს შესაბამის პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება;
16.9. შესარჩევი კომისიის წევრი ვალდებულია, გასაუბრების/ტესტირების ეტაპის დასრულების შემდეგ, ხელმოწერილი შეფასების ფურცელი პირადად ჩააბაროს კომისიის მდივანს. კომისიის წევრი უფლებამოსილია, კომისიის მდივანს მოსთხოვოს მის მიერ შევსებული შეფასების ფურცლის ასლის გადაცემა;
16.10. შესარჩევი კომისიის მდივანი ადგენს კომისიის მუშაობის ოქმს, გასაუბრების/ტესტირების შედეგები გადააქვს შემაჯამებელ უწყისში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მუშაობაში მონაწილე ყველა წევრი და კომისიის მდივანი;
16.11. შესარჩევი კომისიის მდივანი ოქმსა და შემაჯამებელ უწყისს წარუდგენს ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს. აღნიშნული ოქმი და შემაჯამებელი უწყისი არის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის საფუძველი;
16.12. შესარჩევი კომისიის წევრი ვალდებულია გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ თუ ის:

ა) არის მისაღები კანდიდატის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი;
ბ) არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.

*შენიშვნა: ამ მიზნებისათვის, ოჯახის წევრად ითვლება: მეუღლე და შვილი/ნაშვილები, ხოლო ახლო ნათესავად: მშობელი/მშვილებელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, დისშვილები და ძმისშვილები, მშობლების და-ძმები, მინდობით აღსაზრდელი, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი, გერი, ყოფილი მეუღლე (განქორწინებული);*

16.13. განცხადება თვითაცილების თაობაზე კომისიის წევრმა უნდა გააკეთოს იმ მომენტში, როცა მისთვის ცნობილი გახდა თვითაცილების საფუძვლის არსებობის შესახებ. კომისიის წევრის მიერ თვითაცილების თაობაზე განცხადების გაკეთების შემთხვევაში, კომისიის წევრი პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით ჩანაცვლდება მხოლოდ კონკრეტულ აპლიკანტთან დაკავშირებით;
16.14. შესარჩევი კომისიის მუშაობას აფასებს დამკვირვებელი, რომელიც არ მონაწილეობს შეფასების პროცესში. ამ მიზნებისათვის, დამკვირვებელი შეიძლება იყოს ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალი.

## მუხლი 17. შეფასების პროცესისათვის გარემოს მოწყობა

17.1. შეფასების პროცესის ადმინისტრირების მიზნით, ბნსუ-ს სამეურნეო სამსახურის პერსონალი ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან თანამშრომლობით აწყობს საგამოცდო გარემოს;
17.2. შეფასების დღეს შეფასების პროცესისათვის მოწყობილ ოთახში შესაფასებელი პირების შესვლამდე სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია შეამოწმოს:

ა) ადგილების რაოდენობა (მოწმდება ოთახში ადგილების რაოდენობის შესაბამისობა ტესტირების მოცემული სესიისთვის დარეგისტრირებულ აპლიკანთა რაოდენობასთან);
ბ) კედლებზე პოსტერების, სურათებისა და ა.შ. არარსებობა (კედლებიდან უნდა ჩამოიხსნას ყველა ის თვალსაჩინოება, რაც შეიძლება შეიცავდეს აპლიკანტისთვის სასარგებლო ინფორმაციას კითხვებზე სწორი პასუხების გასაცემად);
გ) ოთახში საათის სავალდებულოდ არსებობა და მისი გამართული მუშაობა. ასევე, მოწმდება, საათის განთავსების ადგილი, რომელიც უნდა ადასტურებდეს ყველა შესაფასებელი პირისათვის თვალსაჩინოდ არსებობას;
დ) შეფასების პროცესისათვის ბნსუ-ს უზრუნველყოფილი აქვს სათანადო საწერი კალმებისა და სუფთა ფურცლების რაოდენობა;
ე) ბნსუ-მ უნდა უზრუნველყოს შეფასების პროცესისათვის საჭირო კომპიუტერების გამართული მუშაობა, მათი საჭიროების შემთხვევაში.

### მუხლი 18. გასაუბრების/ტესტირების წარმართვა

18.1. გასაუბრება/ტესტირება ტარდება ბნსუ-ში საამისოდ გამოყოფილ აუდიტორიაში ან დისტანციურად, შესაბამისი ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით;

18.2. გასაუბრების/ტესტირების ინსტრუმენტის შედგენა ხდება წინასწარ პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ, დარგის სპეციალისტების ჩართულობით. შეფასების ინსტრუმენტის დამტკიცება ხდება ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით;

18.3. აპლიკანტთა ტესტირების შემთხვევაში, აპლიკანტი მატერიალური სახით შევსების დროს ხელს აწერს ტესტის ყველა ფურცელს, ხოლო ელექტრონულად განხორციელების შემთხვევაში - აგზავნის მითითებულ ელექტრონულ მისამართზე საკუთარი ელექტრონული მისამართიდან, რომლის სისწორეს ადასტურებს აღრიცხვის ფურცელზე ელექტრონული მისამართის მითითებით და ხელმოწერით;

18.4. ტესტირებას/გასაუბრებას ესწრება ერთი ან ორი დამკვირვებელი, რომელიც არ უნდა იყოს იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება აპლიკანტთა შერჩევა;

18.5. გასაუბრების/ტესტირების მიმდინარეობისას დამკვირვებელს უფლება არ აქვს დატოვოს შეფასების ოთახი. იგი აკვირდება გასაუბრების/ტესტირების მიმდინარეობის პროცესს, რათა არ დაირღვეს გასაუბრების/ტესტირების წარმართვის წესები;

18.6. გასაუბრების/ტესტირების მიმდინარეობისას საგამოცდო ოთახში/ონლაინ სივრცეში დაიშვებიან:

ა) აპლიკანტები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან გასაუბრებაზე/ტესტირებაზე;

ბ) კომისიის წევრები, დამკვირვებლები, საჭიროების შემთხვევაში IT სპეციალისტი და შეფასების პროცესის კოორდინატორი;

18.7. აპლიკანტმა გასაუბრებაზე/ტესტირებაზე დასაშვებად უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ონლაინ პროცესის წარმართვისას ჩართოს კამერა და ავტორიზაცია გაიაროს საკუთარი სახელითა და გვარით;

18.8. დამკვირვებელი ადასტურებს აპლიკანტის ვინაობას და აკეთებს შესაბამის ჩანაწერს;

18.9. აპლიკანტის იდენტიფიცირების პროცესი წარმოადგენს დამკვირვებლის პასუხისმგებლობას. აპლიკანტი, რომლის ვინაობაც ვერ დადასტურდება, ტესტირებაზე არ დაიშვება.

### მუხლი 19. დამკვირვებლის ვალდებულებები

დამკვირვებელი ვალდებულია:

ა) გასაუბრების/ტესტირების ჩატარების ადგილზე გამოცხადდეს ტესტირების/გასაუბრების დაწყებამდე არანაკლებ ნახევარი საათით ადრე და აცნობოს ბნსუ-ს ადმინისტრაციას. გასაუბრების/ტესტირების ჩატარების დისტანციურად ორგანიზების შემთხვევაში, ონლაინ სივრცეში გაიაროს რეგისტრაცია მითითებულ დროს;

ბ) რეგისტრაციის უწყისში გაატაროს აპლიკანტები და ხელმოწერით დააფიქსიროს ტესტირებაზე/გასაუბრებაზე გამოცხადება;

გ) გასაუბრების/ტესტირების დაწყებამდე აპლიკანტს გააცნოს წესები, რომლებიც დაცული უნდა იქნეს გასაუბრების/ტესტირების მიმდინარეობის პროცესში;

დ) ტესტირების/გასაუბრების არაელექტრონულად წარმართვის შემთხვევაში, აპლიკანტთა თვალწინ გახსნას დალუქული კონვერტი და დაარიგოს ტესტები;

ე) დააკვირდეს ტესტირების/გასაუბრების მიმდინარეობას მისთვის განსაზღვრულ სექტორში;

ვ) გასცეს პასუხი აპლიკანტთა მიერ დასმულ პროცედურულ და ტექნიკურ შეკითხვებს;

ზ) არ გასცეს პასუხი ტესტის შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებს;

თ) აპლიკანტის გასაუბრებიდან/ტესტირებიდან/გასაუბრებიდან მოხსნის შემთხვევაში, გააკეთოს ჩანაწერი ტესტირებიდან მოხსნის მიზეზის მითითებით, მოაწეროს ხელი და გადასცეს ბნსუ-ს ადმინისტრაციას;

ი) ტესტირებისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე გააფრთხილოს აპლიკანტები ტესტირების დროის ამოწურვის პერიოდის შესახებ;

კ) ტესტირების არაელექტრონულად წარმართვის შემთხვევაში, ტესტირების დასრულების შემდეგ აპლიკანტებს ჩამოართვას ნამუშევრები და გადასცეს ისინი შესამოწმებლად კომისიის წევრებს;

ლ) უზრუნველყოს ნამუშევრების კონფიდენციალობის დაცვა;

მ) არ დატოვოს მისთვის განსაზღვრული სექტორი, ტესტირების დასრულებამდე და კომისიისათვის ნაშრომების გადაცემის მომენტამდე.

### მუხლი 20. აპლიკანტის უფლებამოსილება

20.1. აპლიკანტი ვალდებულია:

ა) გამოცხადდეს ბნსუ-ში ტესტირების/გასაუბრების დაწყებამდე 30 წუთით ადრე (დაგვიანების ან სხვა დროს გამოცხადების შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევისა, როცა განსხვავებულ პერიოდში აპლიკანტათა შეფასება წინასწარაა შეთანხმებული ბნსუ-ს ადმინისტრაციასთან წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პროცედურის დაცვით), აპლიკანტი ტესტირებაზე/გასაუბრებაზე არ დაიშვება). პროცესის ონლაინ წარმართვის შემთხვევაში, რეგისტრაცია გაიაროს ბნსუ-ს მიერ დადგენილ დროს;

ბ) ტესტირების/გასაუბრების დაწყებამდე წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

გ) მაგიდაზე არ განათავსოს არც ერთი ნივთი, გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისთვის აუცილებელი ნივთებისა (საჭიროების შემთხვევაში);

დ) ტესტირების არაელექტრონულად წარმართვის შემთხვევაში, შეამოწმოს მისი ტესტის ხარვეზიანობა. დაზიანების არსებობის შემთხვევაში მიმართოს დამკვირვებელს. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ, ასეთი პრეტენზია აღარ მიიღება;

ე) არ დაიწყოს ტესტზე მუშაობა, ვიდრე არ დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა;

ვ) ტესტირების/გასაუბრების მიმდინარეობისას დაიცვას ბნსუ-ს ეთიკის კოდექსითა და ამ წესით გათვალისწინებული ნორმები;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, ხელის აწევით მიმართოს დამკვირვებელს შეკითხვით, ისე რომ ხელი არ შეუშალოს სხვა აპლიკანტს;

თ) დაემორჩილოს ტესტირების/გასაუბრების პროცესის დამკვირვებლის მითითებებს და გადაწყვეტილებას, თუნდაც მისი ტესტირებიდან/გასაუბრებიდან მოხსნის შესახებ;

ი) ტესტირებისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვისთანავე დროულად ჩააბაროს ნამუშევარი.

20.2. აპლიკანტს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს ტესტირებისთვის სათანადო პირობები (სამუშაო სივრცე, განათება);

ბ) ტესტირების/გასაუბრების სივრცეში შეიტანოს სასმელი წყალი;

გ) ტესტირების/გასაუბრების შედეგების გამოქვეყნებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს მიღებული შეფასება ან დაუყოვნებლივ გაასაჩივროს შეფასების პროცედურული დარღვევები.

### მუხლი 21. ტესტირების ჩატარება

21.1. ტესტირებაზე აკრძალულია:

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;

ბ) დამხმარე მასალის - სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების ტესტირებაზე შეტანა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი მასალის არსებობა დასაშვებია შეფასების ინსტრუმენტით;

გ) ტესტირების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნის/საგანთა ჯგუფით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის გამოცდაზე შეტანა;

დ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა აპლიკანტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

ე) სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ თანმხლებ პირთან ერთად;

ვ) მუშაობის დაწყება შესაბამისი მითითების გარეშე;

ზ) ტესტის საკითხების გადაწერა, გადაღება, მისი გარეთ გატანა ან გატანის მცდელობა ნებისმიერი ფორმით.

21.2. აპლიკანტის ტესტირებიდან მოხსნის საფუძვლებია:

ა) აპლიკანტი გაფრთხილების გარეშე იხსნება ტესტირებიდან, თუ აღმოჩენილ იქნება მობილური ტელეფონი, კალკულატორი, დამხმარე მასალა (გარდა ნებადართული შემთხვევისა), ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო (თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში);

ბ) წესრიგის დარღვევის ან ტესტირების პროცესში მონაწილე პირის შეურცხყოფა, ან სხვა მსგავსი შემთხვევა;

გ) ტესტირებაზე გამოცხადება ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;

დ) სხვა პირის ნაცვლად ტესტირებაზე გამოცხადება.

21.3. ნებისმიერი სხვა წესის დარღვევისას აპლიკანტი იღებს გაფრთხილებას. მეორე გაფრთხილების მიღების შემთხვევაში, დამკვირვებელი ვალდებულია ტესტირებიდან მოხსნას აპლიკანტი;

21.4. არ გასწორდება იმ აპლიკანტის ნაშრომი, რომელიც ტესტირებისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მასზე მუშაობას.

### მუხლი 22. გასაუბრებაში მონაწილეობის უფლება

22.1. გასაუბრებაში მონაწილეობს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტი, რომელზე შერჩევის ფორმად კონკრეტული მიღებისთვის ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრულია გასაუბრება;

22.2. გასაუბრებას ატარებს შესარჩევი კომისია, რომელიც თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მტკიცდება ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით.

### მუხლი 23. განმეორებით შეფასებაზე დაშვება - აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში (განმეორებით) შეფასების უზრუნველყოფის წესი და პირობები

23.1. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდება შეფასებაზე, მას საშუალება აქვს განმეორებით ერთხელ კიდევ გავიდეს ტესტირებაზე/გასაუბრებაზე, რისთვისაც ის განცხადებით მიმართავს ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადაში და წარადგენს შესაბამის მტკიცებულებას;

23.2. განმეორებით შეფასებაზე გამოუცხადებლობა წარმოადგენს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს;

23.3. განმეორებითი შეფასება ტარდება განცხადების წარდგენიდან არაუმეტეს ერთი კვირის განმავლობაში;

23.4. განმეორებითი შეფასების შედეგები აპლიკანტს ეცნობება შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 (ორ) სამუშაო დღეში.

### მუხლი 24. ტესტირებისა და გასაუბრების შედეგების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირება

24.1. ტესტირებისა და გასაუბრების შედეგები აპლიკანტებს ეცნობებათ ელექტრონულად, ელ.ფოსტის მეშვეობით, ინდივიდუალურად, ტესტირების/გასაუბრების ჩატარებიდან 2 (სამუშაო) დღის ვადაში;

24.2. აპლიკანტი, რომელიც არ ეთანხმება ტესტირებაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.

### მუხლი 25. ტესტირებისა და გასაუბრების შედეგების აპელაციის წესი და ვადები

25.1. აპლიკანტს უფლება აქვს წერილობითი განცხადებით გაასაჩივროს შედეგები მისი გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

25.2. საჩივრის განხილვის მიზნით, პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით, იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს იქმნება სააპელაციო კომისია (არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით), ან მტკიცდება წინასწარ, აპლიკანტთა მიღების გამოცხადების თაობაზე ბრძანების გამოცემის დროს;

25.3. სააპელაციო კომისის ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი გამორიცხავს მხოლოდ ბნსუ-ს წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და ითვალისწინებს ბნსუ-ს პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობას;

25.4. სააპელაციო კომისიაში შეიძლება შედიოდეს ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დარგის სპეციალისტები, დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი;

25.5. სააპელაციო კომისია კომპლექტდება იმ პირებისგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ შერჩევის პროცესში;

25.6. სააპელაციო კომისია ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს;

25.7. სააპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საჩივარს, ეცნობა შესარჩევი კომისიის მუშაობის ამსახველ ოქმს (გასაუბრებისას) და იღებს გადაწყვეტილებას შესარჩევი კომისიის მიერ დაწერილი ქულის ძალაში დატოვების ან/და შეცვლის შესახებ. საკითხის მოკვლევისას შესაძლებელია განხორციელდეს აპლიკანტთან და კომისიის წევრებთან გასაუბრება;

25.8. სააპელაციო კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) აპლიკანტის მიერ შერჩევის პროცედურის დარღვევისას – მისი ნული ქულით შეფასების თაობაზე;

ბ) აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურებისას – მისი შეფასების გადახედვის თაობაზე;

გ) აპლიკანტის შეფასების შედეგების უცვლელად დატოვების შესახებ.

25.9. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

25.10. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთი სამუშაო დღის ვადაში ეცნობება აპლიკანტს ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
25.11. სააპელაციო კომისიის მუშაობის შედეგი აისახება ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავჯდომარე და მდივანი.

### მუხლი 26. ბნსუ-ში ჩარიცხვა

26.1. ბნსუ ვალდებულია, აპლიკანტები ჩარიცხოს პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე;
26.2. ამოღებულია
26.3. ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს:
   ა) აპლიკანტის მიერ ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს;
   ბ) დოკუმენტების წარდგენის ფორმას;
   გ) დოკუმენტების წარდგენის ვადებს;
   დ) ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძვლებს;
   ე) ხელშეკრულების გაფორმების პირობებსა და ვადებს;
   ვ) სხვა საკითხებს, ბნსუ-ს გადაწყვეტილებით.
26.4. ბნსუ უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ;
26.5. აპლიკანტი, რომელსაც რეგისტრაციისას არჩეული აქვს რამდენიმე პროგრამა, უფლებამოსილია ჩაირიცხოს მხოლოდ ერთ პროგრამაზე;
26.6. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი:
   ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესის საფუძველზე ბნსუ-ს მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;
   ბ) აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;
   გ) აპლიკანტის სხვა პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში.
26.7. ამოღებულია;
26.8. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, ბნსუ-ს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად;
26.9. თუ ამ მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ბნსუ-ს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ადგილებისთვის შესაბამის წელს განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება მოცემულ პროგრამაზე შემდეგ წელს მისაღებ ადგილებს, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში - სწავლების შესაბამის ფორმაზე/სასწავლო გეგმაზე არსებულ თავისუფალ ადგილებს;
26.10. ბნსუ ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### მუხლი 27. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაცია

27.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად, აპლიკანტი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
- სარეგისტრაციო განცხადება (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს). არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში განცხადებას ავსებს მისი კანონიერი წარმომადგენელი;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი); არასრულწლოვანი ან მეურვეობის საჭიროების მქონე პირის შემთხვევაში განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს კანონიერი წარმომადგენლის სათანადო უფლებამოსილებას;
- 4 ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე);
- სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესაბამისად, ზოგადი განათლების სრული ან საბაზო საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი) ან განათლების დამადასტურებელი ის დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი), რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების სრული ან საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე, ან/და წინა დონის არსებობის შემთხვევაში - პროფესიული დიპლომი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი);
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ჯანმრთელობის მდგომარეობა აისახება შესაბამის სამედიცინო მოწმობაში, რომელსაც დადგენილი წესით გასცემს სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე www.mta.gov.ge);
- სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
- პირმა, რომელმაც განათლება მიიღო ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რის საფუძველზეც ხდება ჩარიცხვა პროფესიულ პროგრამაზე - უნდა წარმოადგინოს განათლების აღიარების დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
- საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტების (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978/95, as amended in 2010) შესაბამისად, საზღვაო სფეროს პროგრამის შემთხვევაში, საჭიროა ჯანმრთელობის შესაბამისი მდგომარეობა, რაც აუცილებელია პროგრამის სპეციფიკური კომპონენტების შესწავლისა და დაგეგმილი სწავლის შედეგის მიღწევისთვის.

27.2. პირი, რომელმაც მოიპოვა ბნსუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება, ვალდებულია რეგისტრაციის ვადაში მიმართოს ბნსუ-ს, წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები და გაიაროს რეგისტრაცია;
27.2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილ ვადებში, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესისა და ამ მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ბნსუ-ს რექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;
27.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსდება ბნსუ-ს ვებგვერდზე;
27.4. პირი, რომელმაც ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადებში არ მიმართა ბნსუ-ს, არ წარადგინა სავალდებულო დოკუმენტები და არ გაიარა რეგისტრაცია, ვერ მოხდება ერთიანი ჩარიცხვის აქტში დადგენილ ვადაში არმიმართვის გამო;
27.5. ბნსუ-ში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება აპლიკანტს/მის კანონიერ წარმომადგენელს. ბნსუ იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობის საპირისპირო გარემოების დადგენა წარმოადგენს ბნსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტისათვის ჩარიცხვაზე უარი თქმის საფუძველს, ხოლო ჩარიცხვის შემდგომ ასეთი გარემოების გამოვლენა გამოიწვევს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას, კანონმდებლობითა და ბნსუ-ს შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

### მუხლი 28. პროფესიულ სტუდენტებთან ხელშეკრულების გაფორმება

28.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება დასტურდება ბნსუ-ს რექტორის ბრძანებით პირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;
28.2. სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ ბნსუ-ს რექტორსა და პროფესიულ სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც იდება ერთხელ და მოქმედებს სწავლების მთელი დროის განმავლობაში;
28.3. ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს: ხელშეკრულების საგანს - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას, რომელზეც პროფესიული სტუდენტი არის ჩარიცხული, მხარეთა უფლებებს და ვალდებულებებს, სწავლების საფასურს/გადახდის პირობებს (თვითდაფინანსებული პროფესიული საგანმანათლბელო პროგრამის შემთხვევაში), სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს პროფესიული სტუდენტი სწავლის პერიოდში, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და მისი შეწყვეტის წესსა და სხვა დებულებებს;
28.4. ბნსუ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის ხელშეკრულებას ხელს აწერენ ბნსუ-ს რექტორი და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, არასრულწლოვანი ან სსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი. ხელშეკრულება ძალაში შედის პროფესიულ სტუდენტის სტატუსის მინიჭების თაობაზე ბნსუ-ს რექტორის მიერ ბრძანების გამოცემის მომენტიდან;
28.5. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.

### მუხლი 29. ამოღებულია

### მუხლი 30. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

30.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება შესაძლოა მიენიჭოთ:
ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;
ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;
დ) თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.
30.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება ბნსუ-ს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
30.3. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლების მინიჭების მიზნით, რეგისტრაციის დროს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირი ვალდებულია სისტემაში ატვირთოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი;
30.4.[1] მართვის სისტემა, აპლიკანტთა შესაბამისი სტატუსების შესახებ ინფორმაციას, რეგისტრაციის დასრულების შემდგომ, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოითხოვს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან, ხოლო „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტიდან;
30.4.[2] ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შერჩეული აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას დაწესებულება ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში აპლიკანტთა შერჩევის პერიოდში;
30.4. ბნსუ ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით შერჩეული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ინფორმაცია ასახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აპლიკანტების ჩარიცხვა სრულდება სწავლის დაწყების მომენტამდე.

### მუხლი 31. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვა

31.1. ყველა პროგრამა, რომელზეც შესაბამის წელს გამოცხადებულია მიღება, ასევე, ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში;
31.2. პირს, რომელსაც მულტიდისციპლინური გუნდის მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო პორტალზე გააკეთოს შესაბამისი არჩევანი. სისტემა უზრუნველყოფს პირისათვის მხოლოდ იმ პროგრამების შეთავაზებას, რომელზე

ჩარიცხვის მიზნითაც პირის მიმართ გაცემულია დადებითი რეკომენდაცია. აღნიშნული უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში;
31.3. ბნსუ განიხილავს შესაბამისი გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს და თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;
31.4. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებულ ადგილების რაოდენობას ჩარიცხვის დროს, უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს. ამასთან, ბნსუ-ს უფლება აქვს განსაზღვროს დამატებითი პირობები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად;
31.5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, ბნსუ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მონაცემებს ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში და უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ინფორმირებას კანონმდებლობით განსაზღვრულ შერჩევის პერიოდში;
31.6. ამოღებულია;
31.7. ამოღებულია;
31.8. ამოღებულია;
31.9. ამოღებულია;
31.10. ამოღებულია;
31.11. ამოღებულია;
31.12. ბნსუს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და მათი წარდგენის ვადებს;
31.13. ბნსუ, დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებს შესაბამის პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას ამ აპლიკანტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან;
31.14. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს ბნსუ სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

### მუხლი 32. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფის ნომრის განსაზღვრა

32.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო ჯგუფებს დაკომპლექტებისთანავე ენიჭებათ ნომრები რაც განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანებით;
32.2. ჯგუფის ნომერი შედგება ოთხი ციფრისაგან საიდანაც:

- პირველი და მეორე ციფრი აღნიშნავს პროგრამის სახელწოდებას კლასიფიკატორის მიხედვით;
- მესამე და მომდევნო ციფრი აღნიშნავს ჯგუფის რიგით ნომერს ამ პროგრამაზე.
  *(მაგალითი: ელექტროობის პირველი ფორმირებული ჯგუფის ნომერი იქნება: 0101, ხოლო მეორე ჯგუფისა 0102, მესამე ჯგუფისა კი-0103)*

## თავი IV. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის დაგეგმვა

### მუხლი 33. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპები

პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპებია:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების იდენტიციფირება, რომელზეც უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესის დაგეგმვა;
2. სასწავლო ჯგუფების იდენტიციფირება, რომელზეც უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესის დაგეგმვა;
3. სწავლების შესაბამის ციკლში იმ მოდულების იდენტიფიცირება, რომელიც უნდა დაიგეგმოს შესაბამისი ჯგუფის სწავლებისათვის;
4. იმ პროფესიული განათლების მასწავლებელთა განსაზღვრა, რომელიც განახორციელებს სასწავლო პროცესს პროფესიულ სტუდენტთა შესაბამისი ჯგუფისათვის და მასწავლებელთა დატვირთვის სქემის შემუშავება;
5. სასწავლო კალენდარის შემუშავება;
6. მეცადინეობის განრიგის შემუშავება;
7. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზება;
8. სწავლებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის განსაზღვრა და მოთხოვნა;
9. მოდულის განხორციელებისათვის კალენდარული გეგმების შემუშავება;
10. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება.

### მუხლი 34. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცედურები

34.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესს ბნსუ-ში ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობს სამსახურის ხელმძღვანელი;
34.2. პოფესიული საგანმანათლებლო პროგრამების იდენტიციფირება, რომელზეც უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესის დაგეგმვა მოიცავს შემდეგ პროცედურებს:

ა) სწავლების შემდგომი ციკლის დაგეგმვის მიზნით, ბნსუ-ში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი;
ბ) სწავლების პირველი ციკლის დაგეგმვის მიზნით, იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების იდენტიფიცირება, რომლებზეც განხორციელდა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა;
გ) სწავლების პროცესის დაგეგმვის მიზნით, იმ პროგრამების იდენტიფიცირება, რომლებზეც სასწავლო პროცესი უნდა დაიგეგმოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად.

34.3. სასწავლო ჯგუფების იდენტიციფირება, რომელზეც უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესის დაგეგმვა მოიცავს შემდეგ პროცედურებს:

ა) სწავლების შემდგომი ციკლის დაგეგმვის მიზნით, ბნსუ-ში არსებული ჯგუფების ანალიზი. მათ შორის ჯგუფების გაყოფის საჭიროების დადგენა, ბნსუ-ს სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობის შეფასება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად;

ბ) სწავლების პირველი ციკლის დაგეგმვის მიზნით, იმ ჯგუფების ანალიზი, რომლებზეც განხორციელდა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა, მათ შორის ჯგუფების გაყოფის საჭიროების დადგენა, ბნსუ-ს სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობის შეფასება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად;

გ) სწავლების პროცესის დაგეგმვის მიზნით, იმ ჯგუფების ან პროფესიული სტუდენტების იდენტიფიცირება, რომლებზეც სასწავლო პროცესი უნდა დაიგეგმოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად.

34.4. სწავლების შესაბამის ციკლში იმ მოდულების იდენტიფიცირება, რომელიც უნდა დაიგეგმოს შესაბამისი ჯგუფის სწავლებისათვის

34.4.1. სწავლების შესაბამის ციკლში სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის, ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ხელმძღვანელობს შესაბამისი პროგრამის სასწავლო გეგმით, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას;

34.4.2. მოდულებზე სასწავლო პროცესის დაგეგმვისას დაცული უნდა იყოს პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. საწარმოო პრაქტიკის კომპონენტში, პრაქტიკის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლოა მხედველობაში იქნას მიღებული კანონმდებლობისა და დარგის შესაბამისი სფეროს მიდგომები;

34.4.3. სწავლების შემდგომი ციკლის დაგეგმვის მიზნით, ხორციელდება მოდულების იდენტიფიცირება, მათ შორის პროფესიული სტუდენტების მიერ აუთვისებელი/დარჩენილი მოდულების ანალიზი. ასეთი პროფესიული სტუდენტებისათვის უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესით;

34.4.4. სწავლების პირველი ციკლის დაგეგმვის მიზნით, ხორციელდება იმ მოდულების ანალიზი, რომლებიც უნდა დაიგეგმოს, სასწავლო გეგმის მიხედვით, მათ შორის:

ა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ აპლიკანტის ჩარიცხვის შემთხვევაში, რომელთა სასწავლო პროცესი იწყება ქართული ენის (A2/B1) მოდულით;

ბ. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ აპლიკანტის ჩარიცხვის შემთხვევაში, რომელმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა პროფესიული ტესტირების ან ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესით შიდა შერჩევის მექანიზმების გარეშე, ვერ წარმოადგინა ქართული ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები ამ წესის შესაბამისად, ამ პირთათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესი იწყება ქართული ენის (A2/B1) მოდულით;

გ. ბნსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში მოითხოვონ ქართული ენის მოდულის (A2/B1) სწავლის შედეგების დადასტურება, ბნსუ-ს „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით“ განსაზღვრული პროცედურების დაცვით;

დ. ამ მუხლის 4.4 პუნქტის გ) ქვეპუნქტის მიხედვით, თუ პროფესიული სტუდენტი დაადასტურებს ქართული ენის მოდულის (A2/B1) სწავლის შედეგებს, ის სასწავლო პროცესს იწყებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად ქართული ენის მოდულის (A2/B1) გავლის გარეშე;

ე. ამ მუხლის 4.4 პუნქტის გ) ქვეპუნქტის მიხედვით, გაცდენილი მეცადინეობების აღდგენის ორგანიზებას უზრუნველყოფს ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;

34.4.5. სწავლების პროცესის დაგეგმვის მიზნით, იმ მოდულების იდენტიციფირება, რომელიც უნდა დაიგეგმოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად.

34.5. იმ პროფესიული განათლების მასწავლებელთა განსაზღვრა, რომელიც განახორციელებს სასწავლო პროცესს პროფესიულ სტუდენტთა შესაბამისი ჯგუფისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის შემუშავება

34.5.1. ბნსუ-ში ერთ მოდულს ჰყავს ერთი ან რამდენიმე განმახორციელებელი. აღნიშნული განპირობებულია ორი ფაქტორით, კერძოდ:

ა) მოდულის სწავლის შედეგების შინაარსის მიხედვით, ერთი პირის კომპეტენცია არაა საკმარისი, რისთვისაც ბნსუ-ს შერჩეული ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე განმახორციელებლები;

ბ) პროგრამის განხორციელების მდგრადობას უზრუნველყოფს რამდენიმე განმახორციელებელი პირის არსებობა.

34.5.2. სასწავლო პროცესის დაგეგმვის მიზნით, ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის ორგანიზებით პროგრამების მოდულების განმახორციელებელ პირებთან შედგება სამუშაო შეხვედრა;

34.5.3. მოდულები, რომელსაც ჰყავს ერთზე მეტი განმახორციელებელი, შესაძლებელია მოდულის სწავლება დაიგეგმოს მოდულის განმახორციელებელი ყველა პირის ჩართულობით მოდულის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით;

34.5.4. მოდული, რომლის განხორციელებისთვის საკმარისია ერთი განმახორციელებლის კომპეტენცია, სამუშაო შეხვედრაზე მოდულის განმახორციელებელი პირები თავად იღებენ გადაწყვეტილებას მათ მიერ მიმდინარე სწავლების ციკლში განსახორციელებელი მოდულების შესახებ ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესებისა და საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით. პერსონალის დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ ოდენობას;

34.5.5. სასწავლო პროცესის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის ჩართულობით, ავსებს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის ფორმას, ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესით.

34.6. სასწავლო კალენდარის შემუშავება

34.6.1. სასწავლო კალენდარი არის დოკუმენტი, რომელიც კონკრეტულ თარიღებში განსაზღვავს პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას;

34.6.2. სასწავლო კალენდარი შემუშავდება თითოეული პროგრამის შესაბამისი ჯგუფისათვის და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტისათვის ან ჯგუფისათვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული სასწავლო კალენდარი უშუალოდ გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს და არ ქვეყნდება საჯაროდ;

34.6.3. სასწავლო კალენდარს შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელების ჩართულობით, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს;

34.6.4. სასწავლო კალენდარის დამტკიცების თაობაზე ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

34.6.5. სასწავლო კალენდარი განთავსდება თვალსაჩინო ადგილზე, ბნსუ-ს საინფორმაციო დაფაზე ან/და ბნსუ-ს ვებ-გვერდზე;

34.6.6. სასწავლო კალენდარი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

1. შესაბამის პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყების, განახლებისა და დასრულების თარიღებს;
2. დასვენების თარიღებს;

3. შესაბამის პროგრამაზე პრაქტიკული კომპონენტის (საწარმოო პრაქტიკა/პრაქტიკული პროექტი) დაწყებისა და დასრულების თარიღებს;
4. შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღებს;
5. შესაბამისი პროგრამის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების თარიღებს;
6. სხვა ინფორმაციას, შესაბამისი პროგრამის თავისებურების გათვალისწინებით.

34.6.7. სასწავლო კალენდარის თაობაზე პროფესიულ სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელთა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმირებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;

34.6.8. სასწავლო კალენდარში ცვლილებების განხორციელების გარემოების დადგომისას, ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური სამსახურეობრივი ბარათით მიმართავს ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს და წარუდგენს ცვლილებების პროექტს;

34.6.9. ამ მუხლის მე-6 პუნქტის 6.8 ქვეპუნქტის მიზნებისათვის, ცვლილებების განხორციელების პროცესში ჩართული უნდა იყოს ამ დოკუმენტის შემუშავებაში ჩართული პირები;

34.6.10. სასწავლო კალენდარში ცვლილებების განხორციელების გარემოებად მიიჩნევა ნებისმიერი გარემოება, როდესაც სასწავლო პროცესი ვერ განხორციელდება დაგეგმილი განრიგით;

34.6.11. სასწავლო კალენდარში ცვლილებების განხორციელების თაობაზე გამოიცემა ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტი - ბრძანება;

34.6.12. სასწავლო კალენდარში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე დაინტერესებული მხარეების ინფორმირება ხორციელდება ამ მუხლის 6.7 ქვეპუნქტის შესაბამისად.

34.7. მეცადინეობის განრიგის შემუშავება

34.7.1. ამ მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელ პირთა ჩართულობას მეცადინეობის განრიგის შემუშავების პროცესში;

34.7.2. მეცადინეობის განრიგი შემუშავდება თითოეული პროგრამის შესაბამისი ჯგუფისათვის და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტისათვის ან ჯგუფისათვის;

34.7.3. მეცადინეობის განრიგი შესაძლოა შემუშავდეს ცვლაში სწავლების პრინციპით, ე.წ შეჭრილი განრიგით და სხვა. მეცადინეობის განრიგი უნდა ადასტურებდეს კონტინგენტის სრულფასოვან სწავლებას. მეცადინეობის განრიგის შემუშავებისას გაითვალისწინება ბნსუ-ს სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები;

34.7.4. მეცადინეობის განრიგს შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის ჩართულობით, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს;

34.7.5. მეცადინეობის განრიგის დამტკიცების თაობაზე ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

34.7.6. მეცადინეობის განრიგი განთავსდება თვალსაჩინო ადგილზე, ბნსუ-ს საინფორმაციო დაფაზე;

34.7.7. მეცადინეობის განრიგი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

1. პროგრამის დასახელებას;
2. ჯგუფის ნომერს, ინდივიდუალური განრიგის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის სახელს, გვარს. ინდივიდუალური მეცადინეობის განრიგი არ გამოიკვრება ბნსუ-ს საინფორმაციო დაფაზე, ის გადაეცემა უშუალოდ პროფესიულ სტუდენტს ან განთავსდება სსწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში;
3. მოდულის დასახელებას;
4. კალენდარულ დღეებს;
5. მეცადინეობის დაწყებისა და დასრულების საათებს. ბნსუ-ში 1 აკადემიური საათის ხანგრძლივობა შეადგენს 45 წუთს, ხოლო შესვენების ხანგრძლივობაა 15 წუთი;
6. სასწავლო გარემოს შესაბამისი აუდიტორის ნომერს;
7. სხვა ინფორმაციას, პროგრამის სპეციფიკის მიხედვით.

34.7.8. მეცადინეობის განრიგის თაობაზე პროფესიულ სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელთა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმირებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;

34.7.9. მეცადინეობის განრიგში ცვლილებების განხორციელების გარემოების დადგომისას, ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური სამსახურეობრივი ბარათით მიმართავს ბნსუ-ს პროფესიული განათლების ხეპარტამენტის ხელმძღვანელს და წარუდგენს ცვლილებების პროექტს;

34.7.10. ამ მუხლის 7.9 პუნქტის მიზნებისათვის, ცვლილებების განხორციელების პროცესში ჩართული უნდა იყოს ამ დოკუმენტის შემუშავებაში ჩართული პირები;

34.7.11. მეცადინეობის განრიგში ცვლილებების განხორციელების გარემოებად მიიჩნევა ნებისმიერი გარემოება, როდესაც სასწავლო პროცესი ვერ განხორციელდება დაგეგმილი განრიგით;

34.7.12. მეცადინეობის განრიგში ცვლილებების განხორციელების თაობაზე გამოიცემა ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტი - ბრძანება;

34.7.13. მეცადინეობის განრიგში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე დაინტერესებული მხარეების ინფორმირება ხორციელდება ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

34.8. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზება

34.8.1. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;

34.8.2. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრას ესწრება ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური სრული შემადგენლობით, ბნსუ-ს ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის პერსონალი, ბიბლიოთეკის პერსონალი, საფინანსო სამსახური და სხვა სამსახურები ან პერსონალი;

34.8.3. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრაზე სასწავლო პროცესის მართვის სამსახური განიხილავს:

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის შემუშავებულ სასწავლო კალენდარს;
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის შემუშავებულ მეცადინეობის განრიგს;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის შევსებულ ფორმას, რომელსაც სხვა პირებთან ერთად, ხელს აწერს პროფესიული განათლების მასწავლებელი;

4. მოდულის კალენდარული გეგმის სტრუქტურასა და შემუშავების მიდგომებს. შემუშავებული კალენდარული გეგმების პროექტების წარმოდგენის ვადებს;
5. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიდგომებს, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციის პროცედურებს და შეფასების ინსტრუმენტების პროექტების წარმოდგენის ვადებს;
6. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური მეცადინეობების მიდგომებსა და მხარდაჭერის მექანიზმებს;
7. სასწავლო პროცესის განხორციელების სხვა გარემოებებს, მიდგომებსა და თავისებურებებს.
34.8.4. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრაზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს:
1. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნებს, შეფასების მიდგომებს, კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის - შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციის პროცესს;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლების როლს, დანიშნულებასა და უფლება-მოვალეობებს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმების სრულფასოვნად წარმართვაში;
4. პროფესიული განათლების მასწავლებლების როლს, დანიშნულებასა და უფლება-მოვალეობებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელებისათვის;
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული შეფასებისა და ანგარიშის შედეგების მიხედვით, საყურადღებო და მნიშვნელოვან საკითხებს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას სწავლების შემდგომ ეტაპებზე;
6. სხვა საკითხებს, მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე.
34.8.5. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრაზე ბიბლიოთეკის სამსახურის პერსონალი განიხილავს:
1. საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობის პროცედურებს;
2. საბიბლიოთეკო სერვისებს;
3. პერსონალის გამოკითხვების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების დაკმაყოფილებისა და საბიბლიოთეკო რესურსების გაზრდის საკითხებს;
4. სხვა საკითხებს სასწავლო პროცესის საბიბლიოთეკო სერვისებით მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიმართულებით.
34.8.6. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრაზე საფინანსო სამსახური განიხილავს:
1. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის ოდენობას, სპეციფიკას და შესყიდვების დაგეგმვისათვის მნიშვნელოვან საკითხებს;
2. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის დამატებით შესყიდვის ან გაუმჯობესების საკითხებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
3. სხვა საკითხებს მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე.
34.8.7. პროფესიული განათლების მასწვლებლებთან სამუშაო შეხვედრაზე ბნსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები განიხილავენ:
1. პერსონალის ინიციატივების წარმოდგენისა და მხარდაჭერის პროცედურებს, მათ შორის მათი პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვის მიმართულებით;
2. პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა, პარტნიორების და სხვა პირების პერსონალის მონაცემების დაცვის, კანონმდებლობითა და ბნსუ-ს შიდა მარეგულირებელი აქტებით დადგენილი წესით დამუშავების პროცედურებს;
3. სხვა საკითხებს მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე.

34.9. სწავლებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის განსაზღვრა და მოთხოვნა

34.9.1. პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალა-ნედლეულისა და პროგრამის სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, სწავლებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის ოდენობას განსაზღვრავს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, საფინანსო სამსახური პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელისა და მოდულის განმახორციელებელი პირების ჩართულობით;
34.9.2. ამ მუხლის 9.1 პუნქტის მიზნებისათვის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ადგენს მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნის ერთიან ფორმას და ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს წარუდგენს შესაბამისი მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა;
34.9.3. მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნის ფორმა მტკიცდება ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით;
34.9.4. მასალებისა და ნედლეულის შეძენას უზრუნველყოფს ბნსუ-ს სამეურნეო სამსახური ბნსუ-ს საფინანსო სამსახურთან კოორდინაციით;
34.9.5. მასალებისა და ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა, მათი გამოყენების მომენტისათვის;
34.9.6 მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება საამისოდ გამოყოფილ ადგილას, შენახვის წესების დაცვით;
34.9.7. სასწავლო მიზნებისათვის მასალებისა და ნედლეულის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისათვის გადაცემას ახორციელებს სამეურნეო სამსახური, მიღება-ჩაბარების აქტით.

34.10. მოდულის განხორციელებისათვის კალენდარული გეგმების შემუშავება

34.10.1. მოდულის კალენდარულ გეგმას შეიმუშავებს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი. მოდულის კალენდარული გეგმის შემუშავება სავალდებულო არ არის საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისას;
34.10.2. მოდულის კალენდარული გეგმის პროექტი წარედგინება ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;
34.10.3. მოდულის კალენდარული გეგმის პროექტს იხილავს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და შენიშვნებითა და წინადადებებით უბრუნებს მოდულის განმახორციელებელ პირს, საჭიროების შემთხვევაში. მოდულის კალენდარული გეგმის პროექტის განხილვაში მონაწილეობს პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;
34.10.4. თუ მოდულის კალენდარული გეგმის პროექტი არ საჭიროებს ცვლილებების განხორციელებას, მას ითანხმებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და ადებს გრიფს „შეთანხმებულია ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან“;
34.10.5. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან შეთანხმებული მოდულის კალენდარული გეგმის მიხედვით;

34.10.6. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო პროცესი ვერ მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან შეთანხმებული მოდულის კალენდარული გეგმის მიხედვით, მოდულის განმახორციელებელი პირი ახორციელებს მითითებებს დოკუმენტის შესაბამის გრაფაში;

34.10.7. სასწავლო პროცესის შეჩერების ან სხვა გარემოების დადგომისას, რაც მნიშვნელოვნად ცვლის კალენდარული გეგმით განსაზღვრულ დროს ან შინაარსს, ცვლილებების პროექტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირი და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს წარუდგენს ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

34.11. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება

34.11.1. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრის ორგანიზებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;

34.11.2. ამ მუხლის 34.11.1 პუნქტის გასაზღვრულ შეხვედრას სავალდებულოდ ესწრება ბნსუ-ს ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი და პროფესიული განათლების დეპარტამენტის საშტატო პერსონალი;

34.11.3. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრის მიზანია პროფესიულ სტუდენტებს გაეცნოს ბნსუ-ს პერსონალი, მიეწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და ბნსუ-სა და პროფესიული სტუდენტის თანამშრომლობის საკითხებზე;

34.11.4. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრაზე პროფესიულ სტუდენტებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური აცნობს:

1. ბნსუ-ს მისიას;
2. ბნსუ-ს შინაგანაწესს;
3. პროფესიული სტუდენტის უფლებებსა და ვალდებულებებს;
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
5. სასწავლო კალენდარს;
6. მეცადინეობის განრიგს;
7. სწავლის შედეგების შეფასების წესსა და აპელაციის მექანიზმებს;
8. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომებს;
9. სასწავლო პროცესის განხორციელასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;
10. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური პროფესიულ სტუდენტებს წარუდგენს ბნსუ-ს პერსონალს და აცნობს იმ სერვისებს, რომელთა სარგებლობისათვის უნდა მიმართონ ამა თუ იმ პერსონალს.

34.11.5. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრაზე პროფესიულ სტუდენტებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აცნობს:

1. პროფესიული სტუდენტების როლს, მნიშვნელობას და უფლება-მოვალეობებს ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურების მიღებისას;
2. პროფესიული სტუდენტების ჩართულობის მნიშვნელობას მათთან დაკავშირებული პროცესების ობიექტურად შეფასებაში, რაც უზრუნველყოფს ხარისხის მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას;
3. პროფესიული სტუდენტების აზრის ანონიმურად და ღიად გამოხატვის შესაძლებლობებს, მათ შორის ელექტრონული კითხვარების გამოყენებას, არსებობის შემთხვევაში „ნდობის (ანონიმური) ყუთის“ არსებობას, კანცელარიის სერვისების გამოყენებას, ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრების ფორმატისა და სხვა საშუალებების გამოყენებას;
4. სხვა საკითხებს, მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე.

34.11.6. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრაზე პროფესიულ სტუდენტებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, ბნსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის და პრაქტიკისა და დასაქმების სამსახურები აცნობენ:

1. პროფესიულ სტუდენტთა სერვისებსა და ბნსუ-ს მხარდაჭერის ღონისძიებებს;
2. პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების წარმოდგენისა და მხარდაჭერის პროცედურებს;
3. ექსტრაკურიკულური აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების, მათ შორის პროფესიულ სტუდენტენთა ჩართულობის მნიშვნელობასა და პროცედურებს;
4. ბნსუ-ს პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა, პარტნიორების და სხვა პირების პერსონალის მონაცემების დაცვის, კანონმდებლობითა და ბნსუ-ს შიდა მარეგულირებელი აქტებით დადგენილი წესით დამუშავების პროცედურებს;
5. სხვა საკითხებს მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე.

34.11.7. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრაზე პროფესიულ სტუდენტებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, ბნსუ-ს ბიბლიოთეკის პერსონალი აცნობს:

1. საბიბლიოთეკო სერვისებსა და სარგებლობის წესებს;
2. საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის წესებსა და მკითხველად რეგისტრაციის ვალდებულებებს;
3. ბიბლიოთეკის ინიციატივით დაგეგმილ აქტივობებს;
4. სხვა საკითხებს მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე.

34.11.8. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრაზე პროფესიულ სტუდენტებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, შრომის უსაფრთხოების სამსახური და მედდა აცნობენ:

1. ბნსუ-ში სამუშაო/სასწავლო პროცესში შრომის უსაფრთხოების ნიშნებს და მექანიზმებს;
2. ბნსუ-ში პირველადი სამედიცინო დახმარების ღონისძიებებსა და წარუდგენს პასუხიმგებელ პირს;
3. პროფესიულ სტუდენტთა სავალდებულო რეგისტრაციის პროცედურებს ბნსუ-ს მედდასთან. რეგისტრაციის მიზნებსა და დანიშნულებებს;
4. სხვა საკითხებს მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე.

34.11.9. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრაზე პროფესიულ სტუდენტებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, ბნსუ-ს სხვა სამსახურის წარმომადგენლები აცნობენ მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე სხვა საკითხებს.

## თავი V. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის განხორციელება

### მუხლი 35. სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებები

35.1. ბნსუ იზიარებს სასწავლო პროცესში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის, სოციალური ან ქცევითი თავისებურებების მქონე პირების არსებობის შესაძლებლობას და მოქმედებს ინდივიდუალური მიდგომების გამოყენებით;

35.2. სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის მიზნით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური შეიმუშავებს „სტუდენტის სამახსოვროს“, სადაც თავმოყრილია ყველა ინფორმაცია ბნსუ-ს სერვისების

სახეებისა და მისი განმახორციელებელი პერსონალის შესახებ. აღნიშნული სამახსოვრო პროფესიულ სტუდენტს გადაეცემა ბნსუ-ში გამოცხადებისთანავე და დაეხმარება მას ბნსუ-ში შიდა პროცესებთან ადაპტაციაში;

35.3. ბნსუ-ში სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებებია:

35.3.1. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება, სასწავლო პროცესის დაწყებამდე;

35.3.2. პროფესიულ სტუდენტებთან გაერთიანებული შეხვედრების ციკლი სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში, თვეში არანაკლებ ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში რიგგარეშე შეხვედრები იმ პერიოდულობით, რაც უზრუნველყოფს სრულფასოვან თანამშრომლობას;

35.3.3. პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფთან პერიოდული შეხვედრები, იმ პერიოდულობით, რაც უზრუნველყოფს სრულფასოვან თანამშრომლობას;

35.3.4. ინდივიდუალური შეხვედრები და კონსულტაციები პროფესიულ სტუდენტებთან, მათი საჭიროების მიხედვით;

35.3.5. კონსულტაციები პროგრამის ხელმძღვანელთან, თანახელმძღვანელთან ან პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან;

35.3.6. კონსულტაციები ადმინისტრაციულ პერსონალთან;

35.3.7. ჯგუფური ან იდივიდუალური აქტივობების დაგეგმვა და განხორცილების მხარდაჭერა;

35.3.8. ადმინისტრაციული მხარდაჭერის მოქნილობა, რაც გამორიცხავს ბიუროკრატიულ პროცედურებს.

35.4. ბნსუ-ში არსებული ნებისმიერი პროცედურა არ უქმნის ბნსუ-ს სერვისებით მოსარგებლე პირებს ბარიერებს. ბნსუ-ში ადმინისტრაციული სერვისის მიღების ვადა მისი მოთხოვნის დაფიქსირებიდან არ აღემატება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადას.

35.5. პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ, ჯგუფურ ან გაერთიანებულ შეხვედრებს ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და განსახილველი საკითხის შინაარსის  მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამისი სამსახურის პერსონალის ჩართულობას;

35.6. პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ, ჯგუფურ შეხვედრებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური სავალდებულოდ აწყობს თუ:

ა) შეიცვალა სასწავლო კალენდარი;
ბ) შეიცვალა მეცადინეობის განრიგი;
გ) შეიცვალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
დ) იცვლება სასწავლო გარემო. მაგ.: იგეგმება საწარმოო პრაქტიკების განხორციელება ან სხვა;
ე) არსებობს მოთხოვნა პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან ნებისმიერი საკითხის განხილვის თაობაზე;
ვ) არსებობს სხვა გარემოება, როცა სავალდებულოა პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ, ჯგუფურ შეხვედრების ორგანიზება.

## მუხლი  36. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური მეცადინეობების ორგანიზება და კონსულტაციები

36.1. პროფესიულ სტუდენტს/სტუდენტთა ჯგუფს  უფლება აქვს ისარგებლოს ინდივიდუალური მეცადინეობის სერვისით, ბნსუ-ს მიერ დადგენილი ოდენობით;

36.2. ინდივიდუალური მეცადინეობის ორგანიზებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, პროფესიულ სტუდენტთან/სტუდენტთა ჯგუფთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებული განრიგით;

36.3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მეცადინეობის აღრიცხვას ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი, რისთვისაც ავსებს ბნსუ-ს მიერ დადგენილ ფორმას;

36.4. ინდივიდუალური მეცადინეობის სერვისის გამოყენება შეუძლია პროფესიულ სტუდენტს ან პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფს წერილობითი განცხადების საფუძველზე, თუ:

ა) პროფესიულ სტუდენტმა გააცდინა მეცადინეობების ის ოდენობა, როდესაც არ არის საკმარისი ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული სერვისით სარგებლობა;

ბ) პროფესიულ სტუდენტს აქვს ინდივიდუალური საჭიროება და არ არის საკმარისი ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული სერვისით სარგებლობა;

გ) პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფი ან პროფესიული სტუდენტი განმსაზღვრელი შეფასების წინ საჭიროებს ინდივიდუალ მეცადინეობას/კონსულტაციას;

დ) პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფი ან პროფესიული სტუდენტი განმეორებით განმსაზღვრელი/შუალედური/საკვალიფიკაციო შეფასების/გამოცდის წინ საჭიროებს ინდივიდუალ მეცადინეობას/კონსულტაციას;

ე) ნებისმიერი გარემოება, როდესაც არ არის საკმარისი ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული სერვისით სარგებლობა;

36.5. პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფს ან პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებული ფორმით (ელექტრონული ფოსტა, დახურული ჯგუფები, ელ. პლატფორმა, სატელეფონო კონსულტაცია და სხვა) ისარგებლოს პროფესიული განათლების მასწავლებელთან კონსულტაციით, იმ პერიოდულობით რაც დასჭირდება პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგების მისაღწევად, ამასთან არ გამოიწვევს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის შეუსაბამობას კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

## მუხლი  37. სასწავლო პროცესში  შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები

37.1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ბნსუ-ს მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სახის  სერვისი. ბნსუ-ში ჩარიცხული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებებია:

ა) სპეციალისტის მოწვევა;
ბ) საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა;
გ) ბნსუ-ს ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობა;
დ) სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერა;
ე) ადმინისტრაციული მხარდაჭერა;
ვ) სხვა ღონისძიება, საჭიროების მიხედვით.

37.2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის მიზნებისათვის, ბნსუ-ს ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს:

ა) საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის დამზადებას;

ბ) საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით;

გ) პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა.

37.3. ამ მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის მიზნებისათვის, ბნსუ-ს ადმინისტრაცია უზრუნველყოფს:

ა) ხელჯოხით უსაფრთხოდ გადაადგილების სწავლებას სპეციალისტის ჩართულობით;

ბ) პერსონალის დახმარების უზრუნველყოფას. აღნიშნული მიზნებისათვის ბნსუ-ს დაცვის პერსონალსა და მედდას ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილი აქვთ აღნიშნული მოვალეობა და ვალდებულნი არიან განახორციელონ პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა.

37.4. ამ მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის მიზნებისათვის, ბნსუ-ში ხელმისაწვდომია ინდივიდუალური მეცადინეობების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კონსულტაციისა და სასწავლო პროცესის თანამშრომელთა მხრიდან ინდივიდუალური მხარდაჭერის სერვისები;

37.5. ამ მუხლის პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტის მიზნებისათვის, ბნსუ-ს ადმინისტრაციული პერსონალი მზადაა უზრუნველყოს ბნსუ-ს ადმინისტრაციული მხარდაჭერის ყველა სერვისის ხელმისაწვდომობა;

37.6. პროგრამაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისას, საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია მედდის ჩართულობით გამართოს კონსულტაციები პროფესიულ სტუდენტთან და პრაქტიკის ობიექტთან, სასწავლო პროგრამის სრულფასოვნად ათვისების შესაძლებლობის არსებობისა და პირობების უზრუნველყოფის, მოდულების შემთხვევაში მათი ადაპტირების/აკომოდირების მიზნით;

37.7. პროგრამაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისას, ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ შექმნილი კომისია (კომისიის შემადგენლობაში სავალდებულოდ შედის სპეციალისტი, პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისად), შეისწავლის პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას;

37.8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრული მისაღწევი სწავლის შედეგების ფარგლებში, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით;

37.9. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე;

37.10. პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წესით. ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, გაიცემა ცნობა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

37.11. ამ მუხლის მიზნებისათვის შექმნილ კომისიაში სხვა წევრებთან ერთად, სავალდებულოდ უნდა შედიოდეს პირი, რომელიც ფლობს შესაბამის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარებს. საჭიროების შემთხვევაში ბნსუ უზრუნველყოფს ასეთი პირის მოწვევას.

### მუხლი 38. პროგრამის კომპონენტის გავლა ინდივიდუალურ რეჟიმში

38.1. ინდივიდუალურ რეჟიმში პროგრამის კომპონენტის გავლად განიხილება შემთხვევა, როდესაც კომპონენტზე რეგისტრაცია გაიარა იმაზე ნაკლები რაოდენობის პროფესიულმა სტუდენტმა, რაც პროგრამის ბიუჯეტითაა განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის სახით ან სხვა შემთხვევა;

38.2. ინდივიდუალურ რეჟიმში კომპონენტის გავლა დასაშვებია:

ა) თუ პროფესიულმა სტუდენტმა დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების შედეგის გათვალისწინებით, ვერ მიიღო დადებითი შეფასება;

ბ) არარენტაბელური ჯგუფის ფორმირების შემთხვევაში, როცა ბნსუ ვალდებულია პროფესიულ სტუდენტ(ებ)ს გაატაროს აღნიშნული კომპონენტი;

გ) სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში;

დ) პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ცალკეული კომპონენტების გაუვლელობის შემთხვევაში, გარდა ამ წესით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა, როცა არ ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა;

ე) მიღებული ფორმალური განათლების აღიარების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში;

ვ) მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში;

ზ) შიდა და გარე მობილობის შემთხვევაში.

38.3. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში სასწავლო პროცესის დაგეგმვის საფუძველია პროფესიული სტუდენტის ან პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი განსაზღვრულია ბნსუ-ს წინამდებარე დებულებით;

38.4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის ა), გ) და ზ) ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში პროფესიული სტუდენტი განცხადებით მიმართავს ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს კომპონენტის ინდივიდუალურ რეჟიმში გავლის სურვილის თაობაზე, სადაც მიუთითებს გასავლელ კომპონენტს და განცხადებას თან დაურთავს კომპონენტის გავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს ასეთის სავალდებულოდ განსაზღვრის შემხვევაში;

38.5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის ა), ე) და ვ) ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში მოდულის გავლა შესაძლებელია ინტენსიურ რეჟიმში, უფრო ხანმოკლე ვადაში, მოდულით გათვალისწინებულ საათებში გამოხატული პროფესიული სტუდენტის დატვირთვის მოცულობის დაცვით (კვირაში არაუმეტეს 40 საათიანი დატვირთვა);

38.6. ინდივიდუალურ რეჟიმში პროგრამის კომპონენტის გავლისას დაუშვებელია მოდულში (სწავლის შედეგები, აქტივობები, შეფასება და სხვა) ცვლილებების შეტანა.

## თავი VI. პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვა

### მუხლი 39. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

39.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება ბნსუ-სა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;
39.2. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების საფუძველი შესაძლოა იყოს:

ა) პროფესიული სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე;
ბ) მობილობის ფარგლებში სხვა სასწავლებელში გადასვლის შესახებ განცხადების დარეგისტრირება;
გ) პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება;
დ) პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების 50%-ზე ნაკლების აუთვისებლობა პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში;
ე) უცხო ქვეყანაში სწავლა (გარდა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისა);
ვ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო გამოცდაზე/განმეორებით გამოცდაზე არგამოცხადების ან არადამაკმაყოფილებელი შეფასება;
ზ) ფინანსური დავალიანება;
თ) კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევები.

39.3. ამ მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის პირადი განცხადება უნდა მოიცავდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზს. მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი;
39.4. ამ მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების გარემოების დადგომისას, ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი მოხსენებითი/სამსახურებრივი ბარათით მიმართავს ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელსა და ბნსუ-ს რექტორს. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოხსენებით/სამსახურებრივ ბარათში ცხალსახად აღწერილი უნდა იქნეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების გარემოება და დოკუმენტს დაერთოს შესაბამისი მტკიცებულება, არსებობის შემთხვევაში;
39.5. პირადი განცხადების საფუძველზე პროფესიული სტუდენტის მიერ სტატუსის შეჩერების მოთხოვნა დაუშვებელია თუ განცხადების შეტანის მომენტისათვის არსებობს აღნიშნული პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი;
39.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გამოიცემა ბნსუ-ს რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი და მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით;
39.7. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 5 წლის ვადით. ამ ვადაში სტატუსის აღდგენის გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, მას უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

### მუხლი 40. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

40.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ ბნსუ განახორციელებს მიღებას შემდეგ ნაკადზე;
40.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით;
40.3. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის ბნსუ აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით, კანონმდებლობით დადგენილი პირობების გათვალისწინებით;
40.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები;
40.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მოთხოვნით, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს ბნსუ-ს რექტორს. განცხადებაში უნდა მიეთითოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების გარემოებათა დასრულების შესახებ და თან დაერთოს შესაბამისი მტკიცებულებითი დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში);
40.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა ბნსუ-ს რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი და მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით;
40.7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა შესაძლებელია ერთიდაიგივე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ.

### მუხლი 41. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

41.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება ბნსუ-სა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე;
41.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) ბნსუ-ს შინაგანაწესით და ეთიკის კოდექსით დადგენილი შემთხვევები;
ბ) აღდგენილი პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების გარემოების ხელმეორედ დადგომა;
გ) პროფესიული სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
დ) ბნსუ-სთვის ისეთი ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა ან ისეთი ინფორმაციის წარუდგენლობა, რაც გავლენას იქონიებდა პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;
ე) კვალიფიკაციის მინიჭება;
ვ) სასწავლო პროცესის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში გამოუცხადებლობა და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა;
ზ) პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის პირადი განცხადება;
თ) პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების 50%-ის ან მეტის აუთვისებლობა პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში;
ი) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის ვადაში სტატუსის აღუდგენლობა;
კ) არასაპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის მიუღებლობა, ან განმეორებით შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებლობა;

ლ) გარდაცვალება;

მ) საქართველოს კანონმდებლობით და ბნსუ-ს მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული სხვა შემთხვევები;

41.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსშეწყვეტილმა პირმა, სურვილის შემთხვევაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა უნდა გაიაროს თავიდან;

41.4. ამ მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის საფუძველზე, შინაგანაწესის/ქცევის კოდექსის დარღვევისათვის სტატუსის შეწყვეტა შეიძლება გახდეს მიმღები კომისიის მიერ სხვა თანაბარ პირობებში პირისათვის ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი;

41.5. ამ მუხლის პირველი პუნქტის თ) ქვეპუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტებზე;

41.6. ამ მუხლის ვ) პუნქტის მიზნებისათვის ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს, საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას;

41.7. ამ მუხლის ზ) პუნქტის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის პირად განცხადებაში მითითებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტაზე უარის თქმის საფუძველი;

41.8. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარემოების დადგომისას, ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი მოხსენებითი/სამსახურებრივი ბარათით მიმართავს ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს და ბნსუ-ს რექტორს. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოხსენებით/სამსახურებრივ ბარათში ცხალსახად აღწერილი უნდა იქნეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარემოება და დოკუმენტს დაერთოს შესაბამისი მტკიცებულება, არსებობის შემთხვევაში;

41.9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა ბნსუ-ს რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით;

41.10. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას, რაც არ ანთავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთ ვალდებულებების შესრულებისგან;

41.11. პირის მიერ, რომელსაც შეუწყდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, მოთხოვნის შემთხვევაში ბნსუ გონივრულ ვადებში, არაუგვიანეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადისა, უზრუნველყოფს მოთხოვნილი დოკუმენტების გაცემას მისი პირადი საქმიდან;

41.12. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### მუხლი 42. პროფესიულ სტუდენტთა გადასვლა სხვა სასწავლებელში მობილობის წესით (გარე მობილობა)

42.1. გარე მობილობის უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის ამ ბნსუ-ს პროფესიული სტუდენტი;

42.2. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი;

42.3. სურვილის შემთხვევაში, ბნსუ ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა გადასვლას სხვა სასწავლებელში მობილობის წესით, რისთვისაც პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენელი შესაბამისი განცხადებით მიმართავს რექტორს;

42.4. ბნსუ-სათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში ბნსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის ისინი, ვისაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში;

42.5. ბნსუ-ს ავტორიზაციის ვადის გასვლით ბნსუ-ს მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის, ასევე ბნსუ-ს უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ ბნსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის, ისინი, ვისაც ავტორიზაციის ვადის გასვლამდე ან ბნსუ-ს უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის ვადის გასვლიდან/ლიკვიდაციიდან 5 წლის განმავლობაში;

42.6. პროფესიული სტუდენტები, რომელთა დაწესებულებები ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ან დაწესებულებამ დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო ბნსუ-ს სტატუსი ან გაუვიდა ავტორიზაციის ვადა ამ წესის მიზნებისათვის მიიჩნევიან პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებად და მათზე ვრცელდება ამ წესით დადგენილი პირობები;

42.7. ბნსუ-ს ადმინისტრაცია ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს მისცეს პირადი საქმის ასლი;

42.8. სხვა სასწავლებელში მობილობის წესით გადასულ პროფესიულ სტუდენტს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი ბნსუ-ს რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით და მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობიით დადგენილი წესით.

### მუხლი 43. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით

43.1. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევისა, როდესაც დასაშვებია ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება არაუმეტეს 25%-ით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის ბნსუ-ს მიერ დადგენილ პროფესიულ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას;

43.2. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს" (დანართი №1) იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;

43.3. ბნსუ უფლებამოსილია პროფესიული განათლების მართვის სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.

ასეთი ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში, ბნსუ-ს მიერ წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, მობილობის მსურველი პირი წარმოადგენს მის მიერ გავლილი მოდულების გავლის დამადასტურებელ ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც მოდული/სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება;
43.4. პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც სურს გარე მობილობის წესით ბნსუ-ში სწავლის გაგრძელება, ვალდებულოა წარმოადგინოს ოფიციალური დოკუმენტი შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის ფაქტის შესახებ;
43.5. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში;
43.6. ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესით შემუშავებული დასკვნა პროფესიული სტუდენტის მიერ შერჩეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებთან მობილობის მსურველი პირის დოკუმენტების შესაბამისობის თაობაზე, წარედგინება ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში, ხოლო დოკუმენტის ასლი მიეწოდება მობილობის მსურველ პირს ბნსუ-ს საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციის შესაბამისად;
43.7. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვისას ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური უფლებამოსილია კონსულტაციისათვის მიმართოს შესაბამისი დარგის სპეციალისტებს;
43.8. ბნსუ-ს დადებითი დასკვნისა და მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, მობილობით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა ბნსუ-ს რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, რომელშიც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღებ პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა და მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით;
43.9. მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მიენიჭება შესაბამისი კრედიტი, მიმღები პროგრამით ამ მოდულისათვის გათვალისწინებული კრედიტების ოდენობით;
43.10. მობილობის დროს, ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების შემთხვევაში, თუ მათი ერთობლიობა არ ქმნის სრულ მოდულს, სტუდენტს კრედიტი ჩაეთვლება მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ;
43.11. მოდულური პროგრამების ფარგლებში მობილობით ჩარიცხული პირისათვის საჭიროების შემთხვევაში დგება ინდივიდალური სასწავლო გეგმა, რომლის შემუშავებაში მონაწილეობს პროფესიული სტუდენტი და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;
43.12. მობილობით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### მუხლი 44. შიდა მობილობა

44.1. შიდა მობილობის უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის ბნსუ-ს პროფესიული სტუდენტი;
44.2. შიდა მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი;
44.3. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს შიდა მობილობით, რაც გულისხმობს ბნსუ-ს მიერ განხორციელებული ერთი პროგრამიდან სხვა პროგრამაზე გადასვლას;
44.5. ბნსუ უფლებამოსილია პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვროს შიდა მობილობის ვადები;
44.6. შიდა მობილობა დასაშვებია, თუ პროფესიული სტუდენტი აკმაყოფილებს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას;
44.7. შიდა მობილობა დასაშვებია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მომენტიდან ორი კვირის განმავლობაში, ხოლო პროგრამის გაუქმების ან პროგრამის შეცვლის შემთხვევაში- ნებისმიერ დროს;
44.8. შიდა მობილობა დასაშვებია პროგრამისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში არსებულ თავისუფალ ადგილებზე;
44.9. შიდა მობილობის სურვილის შესახებ პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს ბნსუ-ს რექტორს, სადაც მიუთითებს თუ რომელ პროგრამაზე სურს გადასვლა შიდა მობილობის წესით;
44.10. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში;
44.11. ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესით შემუშავებული დასკვნა პროფესიული სტუდენტის მიერ შერჩეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებთან შიდა მობილობის მსურველი პირის დოკუმენტების შესაბამისობის თაობაზე, წარედგინება ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში, ხოლო დოკუმენტის ასლი მიეწოდება შიდა მობილობის მსურველ პირს ბნსუ-ს საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციის შესაბამისად;
44.12. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვისას ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური უფლებამოსილია კონსულტაციისათვის მიმართოს შესაბამისი დარგის სპეციალისტებს;
44.13. ბნსუ-ს დადებითი დასკვნისა და მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, შიდა მობილობით პროფესიული სტუდენტის გადასვლის შესახებ გამოიცემა ბნსუ-ს რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, რომელშიც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში – იმავე ბნსუ-ს სხვა პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა და მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით;
44.14. პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრმის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელისა და პროფესიული სტუდენტის ჩართულობით ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;
44.15. პროფესიულ სტუდენტს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საიდანაც გადადის და გამოიცემა ბნსუ-ს რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### მუხლი 45. მობილობის უფლების შეზღუდვა

45.1. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ

ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ (დანართი №1) იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;
45.2. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

### მუხლი 46. მობილობის მსურველი პირის ჩარიცხვაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები

ბნსუ უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:
ა) ბნსუ-ს არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;
ბ) ბნსუ ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;
გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს ბნსუ-ს მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

### მუხლი 47. კვალიფიკაციის მინიჭება

47.1. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველია პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების სრულად ათვისება და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება;
47.2. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა შუალედური გამოცდის გავლა. პროფესიულ სტუდენტთა შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა განსაზღვრულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების წესით და დეპარტამენტის დებულებით;“
47.3. თუ პროგრამის შემუშავების საფუძველი ადგენს კვალიფიკაციის მინიჭების ამ მუხლის მოთხოვნებისაგან განსხვავებულ ან დამატებით წესს, აღნიშნული საკითხი რეგულირდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით და განსხვავების შემთხვევაში პროგრამით დადგენილ წესს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა.

### მუხლი 48. პროფესიული დიპლომის გაცემის პირობები

48.1. პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს საოქმო გადაწყვეტილებისა და პირის პირადი განცხადების საფუძველზე, ბნსუ ამზადებს და გასცემს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ პროფესიულ დიპლომს, რომლის ნიმუშიც მზადდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობებისა და ბნსუ-ს მიერ დადგენილი პროცედურების დაცვით;
48.2. პროფესიულ დიპლომთან ერთად გაიცემა პროფესიული დიპლომის დანართი;
48.3. პროფესიული დიპლომის დანართის შევსებას ახორციელებს ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.

### მუხლი 49. სერტიფიკატები

49.1. ბნსუ-ს სასერტიფიკატო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის გაიცემა შესაბამისი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი;
49.2. სერტიფიკატის ფორმას ამტკიცებს ბნსუ, გარდა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატებისა, რომელთა ფორმა მტკიცდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
49.3. სასერტიფიკატო პროგრამაზე ჩარიცხვისა და სერტიფიკატის გაცემის პირობები რეგულირდება ბნსუ-ს შესაბამისი სასერტიფიკატო პროგრამით.

### მუხლი 50. ცნობა/სერტიფიკატი გავლილი მოდულის/სწავლის შედეგების შესახებ

50.1. პირი, რომელიც სრულად ვერ აითვისებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს და წყვეტს სწავლას, უფლებამოსილია მოითხოვოს ცნობა გავლილი მოდულების ან დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ;
50.2. მოდულის ყველა სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში, ბნსუ-ს გასცემს სერტიფიკატს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
50.3. სსსმ პირებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს მოდულების აკომოდაცია ან ადაპტაცია;
50.4. მოდულის ადაპტაციის დროს იცვლება სწავლის შედეგები შინაარსობრივად ან რაოდენობრივად, რაც გამორიცხავს ტიპური კვალიფიკაციის მინიჭებას. ასეთ შემთხვევაში, როცა სწავლის შედეგები უცვლელად იქნა შენარჩუნებული და მიღწეული, ბნსუ გასცემს სერტიფიკატს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
50.5. მოდულის/სწავლის შედეგების აკომოდაციის დროს, სადაც სწავლის შედეგები ან კრიტერიუმები შეიცვალა, მხოლოდ ცნობის გაცემაა შესაძლებელი;
50.6. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, ბნსუ უზრუნველყოფს აღნიშნული საჭიროების მქონე პირთა ინფორმირებას სწავლების პროცესის მოსალოდნელი შედეგების თაობაზე.

### მუხლი 51. მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის დამზადების, აღრიცხვის, შენახვისა და გაცემის პროცედურა

51.1. ბნსუ კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტების დიპლომების ან სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატების მოხმარებას, ფორმის გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებას ახორციელებს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონისა და წინამდებარე წესის საფუძველზე;
51.2. ბნსუ ვალდებულია მისი კურსდამთავრებულები უზრუნველყოს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით.

### მუხლი 52. დიპლომებით/სახელმწიფოს მიერ აღირებული სერტიფიკატებით მომარაგება

52.1. დიპლომების/სერტიფიკატების ფორმებით მომარაგებას ბნსუ ახორციელებს დამოუკიდებლად;
52.2. დიპლომების/სერტიფიკატების ფორმების შეკვეთას ბნსუ აწარმოებს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 და მე-9 მუხლის თანახმად, შესაბამის პოლიგრაფიულ საწარმოში, ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე;
52.3. პოლიგრაფიული საწარმოდან დიპლომების/სერტიფიკატების გამოტანის უფლება აქვს ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს ან პირს, რომელსაც გააჩნია სათანადოდ გაფორმებული მინდობილობა, გარდა ამისა დიპლომების/სერტიფიკატების გამოტანისას ფორმდება ორმხრივი მიღება-ჩაბარების აქტი.

### მუხლი 53. დიპლომების/სახელმწიფოს მიერ აღირებული სერტიფიკატების შენახვა

53.1. დიპლომების/სერტიფიკატების ფორმების შენახვა ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;
53.2. დიპლომების/სერტიფიკატებისფორმები უნდა ინახებოდეს ცეცხლგამძლე სეიფში;
53.3. სათავსო, სადაც ინახება დიპლომების/სერტიფიკატების ფორმები უნდა იყოს ხელშეუხებელი გარეშე პირთათვის და სათანადოდ დაცული დაზიანებისაგან;
53.4. დიპლომები/სერტიფიკატები ინახება დიპლომების/სერტიფიკატების გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთან, ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან.

### მუხლი 54. გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომების/სერტიფიკატების ჩამოწერა

54.1. გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომების/სერტიფიკატების ჩამოწერა შეიძლება:
ა. შევსების დროს დაშვებული შეცდომის გამო;
ბ. ფორმის ფიზიკური დაზიანების გამო;
გ. დიპლომების/სერტიფიკატების ფორმის რეგისტრაციის გაუქმების გამო.
54.2. დიპლომების/სერტიფიკატების ჩამოწერას ახორციელებს ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი საექსპერტო კომისია;
54.3. გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომების/სერტიფიკატების ჩამოწერა უნდა მოხდეს საექსპერტო კომისიის სხდომის სათანადოდ შედგენილი ოქმისა და ჩამოწერის აქტის მიხედვით;
54.4. გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომების/სერტიფიკატების უტილიზაცია ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 55. დიპლომების/სერტიფიკატების ფორმების შევსება

55.1. დიპლომების/სერტიფიკატების ცარიელი ფორმის შევსება დიპლომის/სერტიფიკატის მფლობელზე ხდება ბნსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე;
55.2. შევსებული დიპლომების/სერტიფიკატების რეგისტრაცია მიმდინარეობს დიპლომების/სერტიფიკატების რეგისტრაციის ჟურნალში;
55.3. შევსებული დიპლომების/სერტიფიკატების ქსეროასლი, დამოწმებული პასუხისმგებელი პირის მიერ, ინახება ბნსუ-ს კურსდამთავრებულის პირად საქმეში.

### მუხლი 56. დიპლომების/სერტიფიკატების გაცემა

56.1. დიპლომების/სერტიფიკატების გაცემა მფლობელზე წარმოებს პიროვნების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის საფუძველზე;
56.2. დიპლომის/სერტიფიკატის გაცემა ნდობით აღჭურვილ პირზე ხდება დიპლომის/სერტიფიკატის მფლობელის მისთვის ამ უფლების მინდობილობით მინიჭებისა და პიროვნების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემთხვევაში (მინდობილობა რჩება ადგილზე);
56.3. დიპლომის/სერტიფიკატის მფლობელი ან ნდობით აღჭურვილი პირი ხელმოწერით ადასტურებს დიპლომის/სერტიფიკატის მიღების ფაქტს დიპლომის რეგისტრაციის ჟურნალში.

### მუხლი 57. დიპლომების/სერტიფიკატების დუბლიკატების გაცემა

57.1. გაცემული დიპლომის/სერტიფიკატის დაკარგვის შემთხვევაში, ბნსუ-ს უფლება აქვს გასცეს დიპლომის/სერტიფიკატის დუბლიკატი მფლობელის მიერ საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ;
57.2. დაკარგული დიპლომის/სერტიფიკატის მფლობელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:
ა. განცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად;
ბ. ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან პროფესიული დიპლომის/სერტიფიკატის დაკარგვის შესახებ;
გ. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი.
57.3. შევსებული დუბლიკატის რეგისტრაცია მიმდინარეობს დიპლომის/სერტიფიკატის დუბლიკატის რეგისტრაციის ჟურნალში.

## თავი VII. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარება

### მუხლი 58. მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება

58.1. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის მობილობად განიხილა როგორც შიდა, ისე გარე მობილობა;
58.2. მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მიზნით ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით ქმნის კომისიას, მობილობის მსურველი პირის განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;
58.3. მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მიზნით შექმნილი კომისიის შემადგენლობაში სავალდებულოდ შედიან: იმ პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, რომელზეც სურს გადასვლა მობილობის მსურველს პირს, ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, სხვა პირების ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით;
58.4. კომისია იხილავს პირის განცხადებას და თანდართულ დოკუმენტაციას მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე და წერს დასკვნას პროფესიული სტუდენტის მიერ შერჩეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებთან მობილობის მსურველი პირის დოკუმენტების შესაბამისობისა და მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის თაობაზე;
58.5. ამ მუხლის მეოთხე პუნქტის მიხედვით, კომისიის დასკვნა წარედგინება ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში, ხოლო დოკუმენტის ასლი მიეწოდება მობილობის მსურველ პირს ბნსუს საქმისწარმოების წესის შესაბამისად;
58.6. მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს მიენიჭება შესაბამისი კრედიტი, მიმღები პროგრამით ამ მოდულისათვის გათვალისწინებული კრედიტების ოდენობით;

58.7. მობილობის დროს, ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების შემთხვევაში, თუ მათი ერთობლიობა არ ქმნის სრულ მოდულს, პროფესიულ სტუდენტს კრედიტი ჩაეთვლება მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ.

### მუხლი 59. მსგავს ან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება

59.1. მსგავს ან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მიზნით ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბრძანებით ქმნის კომისიას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველი პირის განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;
59.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველი პირის მიერ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მიზნით შექმნილი კომისიის შემადგენლობაში სავალდებულოდ შედიან: იმ პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, რომელზეც სურს სტატუსის აღდგენა პირს, ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, სხვა პირების ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით;
59.3. კომისია იხილავს პირის განცხადებას და თანდართულ დოკუმენტაციას სხვა პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე და წერს დასკვნას პროფესიული სტუდენტის მიერ შერჩეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველი პირის დოკუმენტების შესაბამისობისა და ამ პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის თაობაზე;
59.4. ამ მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, კომისიის დასკვნა წარედგინება ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში, ხოლო დოკუმენტის ასლი მიეწოდება სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველ პირს ბნსუ-ს საქმისწარმოების წესის შესაბამისად;
59.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მიენიჭება შესაბამისი კრედიტი, მიმღები პროგრამით ამ მოდულისათვის გათვალისწინებული კრედიტების ოდენობით;
59.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის დროს, ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების შემთხვევაში, თუ მათი ერთობლიობა არ ქმნის სრულ მოდულს, პროფესიულ სტუდენტს კრედიტი ჩაეთვლება მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ.

### მუხლი 60. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების ზოგადი დებულებები

60.1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მიზანია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის;
60.2. ფორმალური განათლების აღიარებას ახდენს ბნსუ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე წინამდებარე ფორმალური განათლების აღიარების წესის შესაბამისად.

### მუხლი 61. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების საფუძვლები

61.1. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:
- ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;
- ბ) მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

61.2. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.

### მუხლი 62. ფორმალური განათლების აღიარების ეტაპები და ვადა

62.1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს 1 თვეს განცხადების წარმოებაში მიღებიდან;
62.2. ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
- ა) ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის სახელზე განცხადების წარდგენა;
- ბ) კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/ შეფასება;
- გ) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;
- დ) ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინება და ბნსუ-ს რექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

62.3. ბნსუ ვალდებულია უზრუნველყოს ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.

### მუხლი 63. განცხადების წარდგენა

63.1. განმცხადებლის მიერ ბნსუ-ს რექტორის სახელზე წერილობითი ფორმით წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
- ა) ბნსუ-ს დასახელებას;
- ბ) განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;
- გ) განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;
- დ) განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;

ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;
ვ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;
ზ) განმცხადებლის ხელმოწერას;
თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.

63.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას უნდა ერთოდეს:
ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

63.3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას შესაძლებელია ერთოდეს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად ბნსუ-ს/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

63.4. ბნსუ არ არის უფლებამოსილი განმცხადებელს მოსთხოვოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია იმ სწავლის შედეგების აღიარების ნაწილში, რომელიც მიღწეულ იქნა ბნსუ-ს მიერ განხორციელებული ფორმალური განათლების ფარგლებში;

63.5. ბნსუ 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი ბნსუ-ს არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, ბნსუ განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია;

63.6. ბნსუ-ს მიერ ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება;

63.7. თუ ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს, ბნსუ უფლებამოსილია გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

### მუხლი 64. კომისიის მიერ განცხადებისა და დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება

64.1. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია, რომელიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას;

64.2. კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისგან. ბნსუ ვალდებულია კომისიის შემადგენლობაში უზრუნველყოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი პირის მონაწილეობა. ბნსუ-ს უფლება აქვს განმცხადებელი მოიწვიოს კომისიის განხილვაზე, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე;

64.3. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა;

64.4. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა;

64.5. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;

64.6. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს განმცხადებელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა;

64.7. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან;

64.8. კომისია უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აღიარების საფუძვლები. იგი არ არის უფლებამოსილი განმცხადებლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით განახორციელოს მისი შეფასება.

### მუხლი 65. გადაწყვეტილების მიღება

65.1. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;
ბ) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

65.2. განმცხადებელს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით/სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება;

65.3. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი შესაბამისი დასაბუთებით;

65.4. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ბნსუ-ს რექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
ა) ბნსუ-ს დასახელება;
ბ) განმცხადებლის ვინაობა;
გ) იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;
დ) აღიარებული კრედიტების რაოდენობა;
ე) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.

65.5. ბნსუ ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. ფორმალური განათლების აღიარების შედეგები და წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები აისახება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოებულ შესაბამის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

### მუხლი 66. უცხოეთში და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარება

66.1. პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
66.2. პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარებას მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, ახდენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
66.3. განათლების აღიარებისასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე დებულებით, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 67. პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემა

67.1. კრედიტების მინიჭება ხორციელდება სამ ეტაპად:
- ა) კვალიფიკაციის მინიჭებისათვის საჭირო კრედიტების ოდენობის განსაზღვრა;
- ბ) სწავლის შედეგების მოცულობის განსაზღვრა კრედიტებში;
- გ) მოდულისთვის კრედიტების ჯამური მოცულობის განსაზღვრა.

67.2. კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული კვალიფიკაციის დონისა და პროგრამის ხანგრძლივობის მიხედვით;
67.3. ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ფორმალური განათლების ფარგლებში სრული სასწავლო დატვირთვის პირობებში მიღწევადი სწავლის შედეგების ერთობლიობა შეადგენს საშუალოდ 60 კრედიტს. სრული სასწავლო დატვირთვა გულისხმობს პირის მიერ ერთი კალენდარული წლის მანძილზე 1500 – 1800 (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) საათიან დატვირთვას;
67.4. სწავლის შედეგის მოცულობა კრედიტებში არის რიცხვითი გამოსახულება, რომელიც სწავლის შედეგს ენიჭება კონკრეტული კვალიფიკაციის მიზნებიდან გამომდინარე მისი მნიშვნელოვნების გათვალისწინებით.

### მუხლი 68. სწავლის შედეგის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

68.1. პირს კრედიტი ენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე;
68.2. სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია, როგორც ფორმალური განათლების, ისე არაფორმალური განათლების მიღების გზით;
68.3. სწავლის შედეგის დადასტურება ხორციელდება:
- ა) სწავლის შედეგის შეფასებით;
- ბ) სწავლის შედეგის აღიარებით.

68.4. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება ხორციელდება შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული წესით;
68.5. არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
68.6. პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების დადასტურების წესი და პროცედურები რეგულირედება ბნსუ-ს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების წესით.

### მუხლი 69. კრედიტების გადატანა (ტრანსფერი)

69.1. კრედიტების გადატანის (ტრანსფერის) მიზანია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს პირისთვის სწავლის გაგრძელების ან/და კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას;
69.2. კრედიტების გადატანა (ტრანსფერი) ხორციელდება პირის მიერ ფორმალური განათლებისა ან/და არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების გზით;
69.3. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში კრედიტების გადატანა (ტრანსფერი) ხორციელდება იმ პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება;
69.4. კრედიტების გადატანას (ტრანსფერს) ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებაზე უფლებამოსილი დაწესებულება.

## თავი VIII. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

### მუხლი 70. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები

70.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულების დროში განაწილების დოკუმენტი, რომელიც პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კანონმდებლობისა და ბნსუ-ს შიდა მარეგულირებელი აქტებით დადგენილი წესით;
70.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესიული სტუდენტის სწავლება შეუძლებელია სტანდარტული სასწავლო გეგმით, მათ შორის:
- ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას;
- ბ) პროფესიული სტუდენტის შიდა ან გარემო მობილობისას;
- გ) მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას;
- დ) მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას;
- ე) სსსმ და შშმ პირთა სასწავლებისას.

### მუხლი 71. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და დამტკიცება

71.1. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის პროექტს პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად, პროფესიული სტუდენტის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაწილეობით;

71.2. წინამდებარე დოკუმენტის განსაზღვრულ შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში მონაწილეობს სპეციალისტი სსსმ/შშმ პირის საჭიროების გათვალისწინებით. ყოველი კონკრეტული შემთხვევის არსებობისას, ასეთი პირი მოიწვევა ზნსუ-ს მიერ. სსსმ/შშმ პირის სასწავლო პროცესში ჩართვა, სწავლებისა და შეფასების პროცესის ადმინისტრირება წარმოებს სპეციალისტისა და შესაბამისი კომპეტენციის/უფლებამოსილების მქონე პირთა ჩართულობით;
71.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პროგრამის დასრულება გონივრულ ვადებში, პროგრამის კომპონენტების განხორციელების წინაპირობების, ან პროგრამით დადგენილი სხვა მოთხოვნების დაცვით;
71.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი განხილული და შეთანხმებული უნდა იქნეს პროფესიულ სტუდენტთან, რომლისთვისაც დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ან მის კანონიერ წარმომადგენელთან;
71.5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი, პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმების მტკიცებულებასთან ერთად, დასამტკიცებლად წარედგინება ზნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს;
71.6. თუ ზნსუ და პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი ვერ აღწევენ თანხმობას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, მას უჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და უფლება აქვს ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით, კანონმდებლობითა და ზნსუ-ს მიერ დადგენილი წესით.

## თავი IX. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

### მუხლი 72. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა

72.1. წინამდებარე მეთოდოლოგიის შემუშავებისას გათვალისწინებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და პროფესიული საგანმანათლებლო ზნსუ-ს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნები;
72.2. ზნსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:
ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
გ) C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
დ) პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
ე) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობა;
ვ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსები.
72.3. საგანმანათლებლო პროგრამებისათვის გამოყოფილი A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში, დატვირთულია საშუალოდ 50%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით ოთხმაგი რაოდენობა;
72.4. B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 10%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ათმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით ოცმაგი რაოდენობა;
72.5. ზნსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ რაოდენობებს შორის უმცირესს. გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ ამ მუხლით დადგენილი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ციფრის ფარგლებში იღებს ზნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

### მუხლი 73. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორები

73.1. საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:
73.1.1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა;
73.1.2. A სასწავლო გარემო/თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე - პროფესიული სტუდენტების რაოდენობა თეორიული მეცადინეობის ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით:
ა) ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო ადგილების რაოდენობა;
ბ) კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;
73.1.3. B სასწავლო გარემო/კომპიუტერული კლასი გამოიყენება ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამისათვის და გაანგარიშდება სტუდენტთა საერთო რაოდენობაზე. კომპიუტერების რაოდენობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყველა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე ინდივიდუალურ კომპიუტერთან მუშაობა;
73.1.4. C სასწავლო გარემო/პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე, რომელიც იძლევა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების საშუალებას. C სასწავლო გარემოში სტუდენტების რაოდენობის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება:
ა) ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
ბ) ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოს ფართი; კონკრეტული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით/საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;
73.1.5. პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის/პარტნიორ საწარმო(ები)ს შესაძლებლობები;
73.2 მოდულის განხორციელებისათვის შესაძლოა საჭირო იყოს ორი ან სამი სასწავლო გარემო ერთად, ამ შემთხვევაში მიეთითება შესაბამისი აღნიშვნა სათანადო დოკუმენტში;
73.3. იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იგივე სასწავლო გარემო გამოიყენება ორი ან მეტი პროგრამისა და ჯგუფისათვის, ფართი და აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყოველმა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე შეუფერხებლად მუშაობა;
73.4. თუ ერთი და იგივე რესურსი გამოიყენება სხვადასხვა პროგრამის მიზნებისათვის, კონტინგენტის დასაბუთებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მისი შესაძლებლობები/გამტარუნარიანობა თითოეულ პროგრამასთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იგივე პროგრამა იზიარებს საერთო პრაქტიკის ბაზას, უნდა ჩანდეს ამ ბაზის გამოყენების მექანიზმი ორივე პროგრამის მიზნებისათვის;
73.5. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (მოდულებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო, ავტორიზაციის ვადით მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებული (დადასტურებული შესაბამისი ხელშეკრულებებით), სათანადო აღჭურვილობის სასწავლო ფართი, ასევე კომპიუტერული

(ციფრული) ტექნიკა, სპორტული, შემოქმედებითი, თუ სხვა არასააუდიტორიო აქტივობებისათვის საჭირო სივრცეების ხელმისაწვდომობა, რაც სამუშაო საათებში, ორ ცვლაში უნდა იძლეოდეს, სწავლების წინასწარ განსაზღვრული შედეგის უზრუნველმყოფას);

73.6. კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება პრაქტიკის ობიექტ(ებ)თან/პარტნიორ საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტთა იმ მაქსიმალური რაოდენობის გათვალისწინებით (პრაქტიკის ინსტრუქტორებისა და პროფესიული სტუდენტების ლოგიკური რაოდენობრივი შეფარდებით), რაც პრაქტიკის ობიექტ(ებ)ს/პარტნიორ საწარმო(ებ)ს შეუძლია მიიღოს;

73.7. პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას ასევე გაითვალისწინება:

73.7.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა პროგრესის შესაბამისად სასწავლო წლების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა გადანაწილების შესაძლებლობა;

73.7.2. საგანმანათლებლო პროგრამის დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა;

73.7.3. ბიბლიოთეკის რესურსი;

73.7.4. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა (წინა წლების მონაცემებით პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, მიმართულებისა და დარგის სპეციალისტებზე ბაზარზე არსებული მოთხოვნა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები);

73.7.5. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და ზრდის (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოვების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობის გაზრდის და ა.შ.) შესაძლებლობები და სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ნაბიჯები;

73.7.6. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობის გაზრდის, პროგრამისთვის საჭირო საბიბლიოთეკო სივრცისა და ფონდის გამდიდრების, დამატებითი კომპიუტერული კლასების შექმნისა ან/და კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფის, ასევე, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი დამატებითი აუდიტორიების/გარემოს გამოყოფის, პრაქტიკის ბაზებთან თანამშრომლობის გაფართოვების შესაძლებლობები.

### მუხლი 74. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშება

74.1 ბნსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება ამ დებულების 73-ე მუხლის ასპექტების შესაბამისობის დადგენა სამიზნე ნიშნულებთან;

74.2. პროფესიული სტუდენტების ზღვრულ ოდენობას გარკვეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე/საგანმანათლებლო პროგრამებზე შესაძლოა განსაზღვრავდეს პროგრამით დადგენილი მოთხოვნები პროფესიული სტუდენტისა და პროგრამის განმახორციელებელ პირთა თანაფარდობის შესახებ და სხვა.;

74.3. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწიება ორ ცვალში სწავლის შესაძლებლობა. ასევე, მეცადინეობის განრიგის შედგენის შესაძლებლობა შეჭრილი ცხრილის პრინციპით;

74.4. ბნსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას უნდა დაანგარიშდეს A, B და C სასწავლო გარემოში და პრაქტკის ობიექტზე (ხელშეკრულების შესაბამისად) პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

74.5. A, B და C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობა ამ დებულების 72-ე მუხლის შესაბამისად;

74.6. პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა;

74.7. კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე გარემო რამდენიმე პროგრამისათვის გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში გარემოს დატვირთვის რესურსი უნდა გადანაწილდეს ყველა პროგრამაზე;

74.8. თუ მოდულის/სწავლის შედეგების განხორციელება უნდა მოხდეს პრაქტიკის ობიექტზე, მაშინ ობიექტზე უნდა შეფასდეს ამ მოდულის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ჩამონათვალის შესაბამისი აღჭურვილობა ან მისი ალტერნატივა და ეს უნდა გაიწეროს ხელშეკრულების დანართში ჩამონათვალით;

74.9. ვინაიდან საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული თანაფარდობები პირობითია (სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს) და არ არსებობს რაიმე სახის წინასწარ დადგენილი თანაფარდობა, თუ რამდენ სტუდენტზე რამდენი მატერიალური რესურსი უნდა მოდიოდეს, გარდა ცალკეული გამონალისებისა, უმნიშვნელოვანესია, ზღვრული რაოდენობის დაანგარიშებისას საკმარისობის პრინციპით ხელმძღვანელობა;

74.10. გადაწყვეტილებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის/გაზრდის/შემცირების შესახებ წინამდებარე მეთოდოლოგიით განსაზღვრული წესით იღებს ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ანგარიშის/პროფესიულ სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დასაბუთების საფუძველზე;

74.11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფს შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდნენ: სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწვალებელი/მასწავლებლები, საფინანსო სამსახურის პერსონალი და სხვა პირები ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით;

74.12. ამ მეთოდოლოგიის მოთხოვთა დასაზუსტებლად, ბნსუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო გარემოს დატვირთვა განისაზღვრება „სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობის“ დოკუმენტით, რომელიც მოიცავს თითოეული სასწავლო გარემოს დატვირთვის გაანგარიშებას შესაბამისი მეთოდოლოგიის დაცვით.

### მუხლი 75. კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პირთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის წესი

75.1.წინამდებარე წესის შემუშავებისას გათვალისწინებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების, პროფესიული საგანმანათლებლო ბნსუ-ს ავტორიზაციის სტანდარტებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის N198/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის“ მოთხოვნები;

75.2. კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პირთა ადგილების რაოდენობა განისაზღვრება ავტორიზაციის საბჭოს მიერ შესაბამისი პროგრამის ფარგლებში დადგენილ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში;

75.3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის გაანგარიშების მიზნით, პროფესიულ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება პროგრამაზე მიღების გამოცხადების დროისთვის ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებულ

სხვაობას ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისთვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების შესაბამისად;
75.4. კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პირთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრისას სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტები არ განიხილება პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;
75.5. კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის აღდგენის საფუძველზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებისას, პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის ბნსუ-ს მიერ დადგენილ პროფესიულ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

### მუხლი 76. დებულების დანართები

1. წინამდებარე დებულების განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მისი დანართები (არსებობის შემთხვევაში), ასევე დოკუმენტები/ფორმები, რომლებიც შემუშავდა წინამდებარე დებულების საფუძველზე.

### მუხლი 77. დებულების საჯაროობა/კონფიდენციალურობა

1. წინამდებარე დებულება საჯაროა;
2. ბნსუ-ს პერსონალი და დებულებით გათვალისწინებული პროცესების/პროცედურების განხორციელებაში ჩართული და სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობენ ამ პროცესების უზრუნველყოფაში, ვალდებულნი არიან გაეცნონ წინამდებარე დებულებას და შეასრულონ მისი მოთხოვნები, ბნსუ ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ დებულების გაცნობის შესაძლებლობა.

### მუხლი 78. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დებულების ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/ წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ საკითხებს;
2. დებულების მუხლებს წანამძღვრებული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცველელად ან განმმარტებლად;
3. დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ბათილად ცნობა არ ვრცელდება დებულების სხვა მუხლებზე/ დებულებებზე;
4. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
5. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

| ცვლილებების № | ცვლილებების თარიღი | ცვლილებების შინაარსი |
|---|---|---|
| 1 | 05.07.2024 | **ამოღებულია** : მუხლი 13, 1. ვ) ; მუხლი 15.13; მუხლი 15.14; მუხლი 15.15; მუხლი 26.2; მუხლი 29; მუხლი 31.6; მუხლი 36.7; მუხლი 31.8; მუხლი 31.9; მუხლი 31.10; მუხლი 31.11; დაემატა: **მუხლი 15.10$^1$ ; მუხლი 15.12$^1$ ; მუხლი 15.16 - ა), ბ); მუხლი 30.3; მუხლი 30.4$^1$ ; მუხლი 30.4$^2$ ;** |
| | | |